გაზეთი ბოლოს, „ვერსია“ ერთი

ვერსია

№21 (1563) 23 – 29 ივნისი ოთხშაბათი 2021 წელი 1 ლარი

ყოველკვირეული საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი www.versia.ge

შუახნის ქალმა საყვარლის საცოლე მოკლა

წავკისის ტყის კოშმარი და მკვლელობა თმის სამაგრით

„ჩემი და ცოტნეს ლოგინი პოლხური კოშკის ეზოში დაწვეს“

რატომ არ მიიყვანეს გერმანიიდან დაბრუნებული ცოტნე გამსახურდია მშობლიურ სახლში – ექსკლუზიური ინტერვიუ ანა ჯაბაურთან



„გირჩი“ სუს-ის აგენტურაა... გიორგი ვაშაძე დაკემსილი „ნასკებით“ დადიოდა... ალეკო ელისაშვილი კი პროკურატურასთან თანამშრომლობდა!“

„პეტრე ცაავას აუცილებლად გავაწნავ სილას!“ – ზესკანდალური ინტერვიუ სანდრო ბრეგაძესთან

რეციდივისტი, რომელმაც მინისტრის შვილს შეყვარებული „დააწერა“

ნაციხარი კაცის გამდიდრების დაუჯერებელი ამბავი

პოლიტიკური კავკასიური ცარცის წრის კულუარები ანუ რატომ არ ახსენეს ბაიდენ-პუტინის შეხვედრაზე საქართველო

ლელა ჯეჯელავა: „ფაშინიანის გამარჯვება იმას ნიშნავს, რომ სომხეთს მომავალი აქვს!“

ვინ არის მამაკაცი, რომელიც 6 წლის შვილთან ერთად გაუჩინარდა

„ეშმაკმა შემაცდინა... მანქანიდან ნაჯახი ამოვიღე და დავარტყი“ – ტაქსის მძღოლის სკანდალური აღიარება

როგორ აპირებს ექსპრემიერი გახარია ეკლექტური ეკონომიკური პროგრამით ქვეყნის აღორძინებას



რას ეფუძნება ორნიშნა ეკონომიკური ზრდა, ყველაზე დაბალი გადასახადები, ახალი საინვესტიციო პოლიტიკა და მიმზიდველი სამეწარმეო გარემო

125 დაცვის პოლიცია SECURITY POLICE

აჭარის პოლიციამ განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკი, უკანონო ცეცხლსასროლი იარაღი და საბრძოლო მასალა ამოიღო – დაკავებულია ერთი პირი

შინაგან საქმეთა სამინისტროს აჭარის პოლიციის დეპარტამენტის დეტექტივებისა და უბნის ინსპექტორების სამმართველოების თანამშრომლებმა, ერთობლივად ჩატარებული ოპერატიული და საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად, 1966 წელს დაბადებული, წარსულში ნასამართლევი გ.შ. დააკავეს.

მას ბრალი განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა-შენახვაში, ასევე, ცეცხლსასროლი იარაღისა და საბრძოლო მასალის მართლსაწინააღმდეგო შეძენა-შენახვაში ედება.

დანაშაულები 20 წლამდე ან უვადო თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

სამართალდამცველებმა, ბრალდებულის პირადი და დროებითი საცხოვრებელი ბინის ჩხრეკის შედეგად, ნივთმტკიცების სახით ამოიღეს „ბუპრენორფინის“ შემცველი ნარკოტიკული საშუალება „სუბოქსინის“ 147 აბი და 5 შეკვრად დაფასოებული „ჰეროინის“ შემცველი ნარკოტიკი. გ.შ.-ის დროებითი საცხოვრებელი ბინის ჩხრეკის შედეგად, ასევე, ნივთმტკიცების სახით ამოღებულია ტოკარევის კონსტრუქციის პისტოლეტი, „ნაგანის“ სისტემის რევოლვერი და 18 საბრძოლო ვაზნა.

განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა-შენახვის და ცეცხლსასროლი იარაღის და საბრძოლო მასალის მართლსაწინააღმდეგო შეძენა-შენახვის ფაქტებზე გამოძიება საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის პირველი და მე-6 ნაწილებით, ასევე, 236-ე მუხლის მე-3 ნაწილით მიმდინარეობს.

სამეგრელო-ზემო სვანეთისა და სამცხე-ჯავახეთის პოლიციის დეპარტამენტებს ახალი ხელმძღვანელები ჰყავს

შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილეებმა, ვლადიმერ ბორცვაძემ და შალვა ბედოიძემ სამეგრელო-ზემო სვანეთისა და სამცხე-ჯავახეთის პოლიციის დეპარტამენტების თანამშრომლებს ახალი ხელმძღვანელები პირადად წარუდგინეს.

სამეგრელო-ზემო სვანეთის პოლიციის დეპარტამენტს პოლიციის პოლკოვნიკი გურამ ზესაშვილი უხელმძღვანელებს, სამცხე-ჯავახეთის პოლიციის დეპარტამენტს კი – პოლკოვნიკი ნიკოლოზ დიასამიძე. მინისტრის მოადგილეებმა პოლიციის დეპარტამენტების ახლადდანიშნულ დირექტორებს წარმატებები და ნაყოფიერი მუშაობა უსურვეს.

ამ დრომდე, დიასამიძეს შინაგან საქმეთა სამინისტროს სამეგრელო-ზემო სვანეთის პოლიციის დეპარტამენტის დირექტორის თანამდებობა ეკავა. რაც შეეხება გურამ ზესაშვილს, იგი სამცხე-ჯავახეთის პოლიციის დეპარტამენტის დირექტორი იყო.

შინაგან საქმეთა სამინისტრომ „ქურდული სამყაროს“ წევრობისა და „ქურდულ შეკრებაში“ მონაწილეობის ბრალდებით, ქუთაისში სამი პირი დააკავა

შინაგან საქმეთა სამინისტროს იმერეთის, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის პოლიციის დეპარტამენტისა და განსაკუთრებულ დავალებათა დეპარტამენტის თანამშრომლებმა, დასავლეთ საქართველოს საოლქო პროკურატურასთან ერთად, ქუთაისში ჩატარებული სპეციალური ოპერატიული ღონისძიებების შედეგად, მოსამართლის განჩინების საფუძველზე, სამი პირი – 1996 წელს დაბადებული, წარსულში ნასამართლევი თ.ჩ., 1983 წელს დაბადებული ა.მ. და 1977 წელს დაბადებული, წარსულში მრავალჯერ ნასამართლევი, ამჟამად პირობითი მსჯავრის ქვეშ მყოფი დ.ს. დააკავეს.

მათ ბრალად ედებათ „ქურდული სამყაროს“ წევრობა და „ქურდულ შეკრებაში“ მონაწილეობა.

დანაშაულები 7-დან 10 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

გამოძიებით დადგინდა, რომ ბრალდებულმა თ.ჩ.-მ, შემთხვევით გაიგო თავისი ნაცნობის, ქუთაისში მდებარე ერთ-ერთი კაფე-ბარის ყოფილი მეწილისა და ამავე ობიექტის ახლანდელი მფლობელის ფინანსური დავის შესახებ. მან, თანამზრახველებთან ერთად, თვითნებურად, საკუთარი სარგებლის მიღების მიზნით, გადაწყვიტა აღნიშნულ დავაში ჩარევა. ბრალდებულებმა „ქურდული სამყაროს“ მიერ დადგენილი წესების მიხედვით მოაწყვეს „ქურდული გარჩევა“. ფინანსური დავის ქურდული წესით გარჩევის შედეგად, ბარის მეპატრონეს ყოფილი ბიზნეს-პარტნიორისთვის და „ქურდული სამყაროს“ წევრების სასარგებლოდ, გარკვეული თანხის გადახდა დააკისრეს.

სამართალდამცველებმა, თ.ჩ., ა.მ. და დ.ს. ბრალდებულის სახით მას შემდეგ დააკავეს, რაც ბარის მეპატრონემ მათ მოთხოვნილი თანხა გადაუხადა.

პოლიციამ, დაკავებულების საცხოვრებელ სახლებში ჩატარებული ჩხრეკის შედეგად, ნივთმტკიცებად ამოიღო მობილური ტელეფონები და კომპიუტერული ტექნიკა, რომელთა მეშვეობითაც ბრალდებულები ერთმანეთს და მათთან დანაშაულებრივ კავშირში მყოფ სხვა პირებს უკავშირდებოდნენ.

გამოძიება „ქურდული სამყაროს“ წევრობისა და „ქურდულ შეკრებაში“ მონაწილეობის ფაქტებზე, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 223-ე პრიმა მუხლის პირველი ნაწილითა და 223-ე პრიმა-2 მუხლით მიმდინარეობს.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს პოლონეთის რესპუბლიკის ეროვნული პოლიციის დელეგაცია ეწვია

შინაგან საქმეთა მინისტრმა, ვახტანგ გომელაურმა პოლონეთის რესპუბლიკის ეროვნული პოლიციის დელეგაციას უმასპინძლა, რომელსაც პოლონეთის პოლიციის მთავარი კომენდანტის მოადგილე, გენერალ-მაიორი პაველ დობროჯეი ხელმძღვანელობს. შინაგან საქმეთა მინისტრთან შეხვედრას დელეგაციასთან ერთად ესწრებოდა საქართველოში პოლონეთის რესპუბლიკის ელჩი, მარიუშ მაშკევიჩი. შეხვედრაზე პაველ დობროჯეიმ, პოლონეთის შინაგან საქმეთა მინისტრის ბრძანებით, პოლონეთის რესპუბლიკის ეროვნულ პოლიციასა და საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს შორის წარმატებულ თანამშრომლობაში შეტანილი წვლილისთვის, საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრს, ვახტანგ გომელაურს მედალი გადასცა.

მთავარი კომენდანტის მოადგილემ და ელჩმა შინაგან საქმეთა მინისტრს წარუდგინეს პოლონეთის მხარის მიერ საქართველოში მოვლინებული პოლიციის პირველი მეკავშირე ოფიცერი, რაფალ ვეგილი.

ვახტანგ გომელაურმა ხაზი გაუსვა საქართველოსა და პოლონეთს შორის ისტორიულად მჭიდრო ურთიერთობებს, ასევე, საქართველოს სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობისადმი, ევროპული და ევროატლანტიკური ინტეგრაციის პროცესისადმი პოლონეთის უპირობო მხარდაჭერას. შინაგან საქმეთა მინისტრმა განსაკუთრებულად აღნიშნა ორ უწყებას შორის არსებული მაღალი დონის თანამშრომლობა, რომელიც ეფექტიანად ხორციელდება პოლონეთში მივლენილი საქართველოს პოლიციის ატაშეს, გიორგი გამსახურდიას უშუალო და აქტიური ჩართულობით. შეხვედრაზე მხარეებმა ორმხრივი თანამშრომლობის აქტუალური საკითხები და სამომავლო გეგმები განიხილეს.

პოლონეთის პოლიციის დელეგაცია შინაგან საქმეთა სამინისტროს საექსპერტო-კრიმინალისტიკურ დეპარტამენტს ესტუმრა

შინაგან საქმეთა სამინისტროს საექსპერტო-კრიმინალისტიკურ დეპარტამენტს პოლონეთის პოლიციის მთავარი კომენდანტის მოადგილე, გენერალ-მაიორი პაველ დობროჯეი, დელეგაციასთან ერთად ეწვია. დეპარტამენტს ასევე ესტუმრა საქართველოში პოლონეთის რესპუბლიკის ელჩი, მარიუშ მაშკევიჩი.

სტუმრებს საექსპერტო-კრიმინალისტიკური დეპარტამენტის დირექტორმა, სერგო ძაგნიძემ უმასპინძლა და მათ უწყების მუშაობის სპეციფიკა გააცნო.

პოლონეთის პოლიციის მთავარი კომენდანტის მოადგილემ, პაველ დობროჯეიმ და დელეგაციის წევრებმა დაათვალიერეს: ბიოლოგიური ექსპერტიზის, ნარკოტიკული საშუალებებისა და ფარმპრეპარატების ექსპერტიზის, ბალისტიკური ექსპერტიზის, დაქტილოსკოპიური ექსპერტიზის, ჰაბიტოსკოპიური, ფოტო-ვიდეო ექსპერტიზის, კომპიუტერულ-ტექნიკური ექსპერტიზის და სხვა ლაბორატორიები.

შინაგან საქმეთა სამინისტროს საექსპერტო-კრიმინალისტიკური დეპარტამენტი განთავსებულია თანამედროვე სტანდარტების ახალ შენობაში. დეპარტამენტის ლაბორატორიებს მინიჭებული აქვთ შესაბამისი საერთაშორისო აკრედიტაციები.

პოლიტიკური კავკასიური ცარცის წრის კულუარები ანუ რატომ არ ახსენეს ბაიდენ-პუტინის შეხვედრაზე საქართველო

ნინო დოლიძე

სომხეთის არჩევნებმა, შესაძლოა, სამხრეთ კავკასიის რეალობა შეცვალოს ანუ იმის ილუზია, რომ ფაშინიანის პარტიის გამარჯვებით, რეგიონში კრემლის გავლენები შესუსტდება, რასაკვირველია, არ არსებობს, მაგრამ როგორც ანალიტიკოსები ამბობენ, ყარაბაღის განახლებულ კონფლიქტში განცდილი მარცხის მიუხედავად, სომეხმა ხალხმა წარსულზე უარი თქვა. ამასთან, როგორც ფაშინიანი ამბობს, არჩევნებით სომხეთში პოლიტიკური კრიზისიც დასრულდა.

„შიდაპოლიტიკური კრიზისი, რომელიც 9 ნოემბერს დაიწყო, დასრულდა. ხვალიდან ნორმალურ რეჟიმში დავიწყებთ მუშაობას. ამ არჩევნებში ხალხმა ქვეყანაში კანონის დამყარების მანდატი მოგვანიჭა“, – განაცხადა ფაშინიანმა არჩევნების მეორე დღეს.

ცნობისთვის: სომხეთის საპარლამენტო არჩევნებში, ფაშინიანის პოლიტიკურმა პარტიამ – „სამოქალაქო შეთანხმება“, ხმათა 52.9% მიიღო, რის შემდეგაც პრემიერის მოვალეობის შემსრულებელმა განაცხადა, რომ მის პარტიას საკონსტიტუციო უმრავლესობა ექნება და მთავრობის ჩამოყალიბებას დამოუკიდებლად შეძლებს.

რა იცვლება ფაშინიანის გამარჯვებით რეგიონში, რას ემსახურებოდა თურქეთის პრეზიდენტის ვიზიტი აზერბაიჯანში და რატომ არ ახსენეს საქართველო ბაიდენ-პუტინის შეხვედრაზე? – „ვერსია“ ანალიტიკოს ლელა ჯეჯელავას ესაუბრა.

ლელა ჯეჯელავა: „ფაშინიანის გამარჯვება იმას ნიშნავს, რომ სომხეთს მომავალი აქვს!“

– ქალბატონო ლელა, ფაშინიანის გამარჯვება იმას ნიშნავს, რომ სომეხმა ხალხმა რუსეთს ზურგი საბოლოდ აქცია?

– სომხეთის საპარლამენტო არჩევნებში ნიკოლ ფაშინიანის პარტიის – „სამოქალაქო თანხმობა“ დამაჯერებელი გამარჯვება იმას ნიშნავს, რომ სომხეთს მომავალი აქვს! სხვათა შორის, სწორედ ასეთი იყო ფაშინიანის მთავარი საარჩევნო სლოგანი, რაც ნიშნავს, რომ სომეხი ხალხი ვერ გატეხა ყარაბაღის ომში დამარცხებამ ანუ საკუთარ მარცხზე გაიმარჯვა.

ისე, კავკასიის რეგიონში განვითარებულ მოვლენებს, ხშირად, მხოლოდ საკუთარი ინტერესების პრიზმიდან ვაფასებთ, რაც ობიექტურობის შენარჩუნებაში ხელს გვიშლის.

– ეს რა შუაშია?

– ფაშინიანის გამარჯვება იმას არ ნიშნავს, რომ სომხეთმა რუსეთს საბოლოოდ ზურგი აქცია. ამ ეტაპზე, ეს სომხეთის მთავარი მიზანი არ ყოფილა და ვერც იქნებოდა.

– რატომ?

– როგორ წარმოგიდგენიათ, არჩევნებში გამარჯვებით ზურგი აქციო ქვეყანას, რომლის სამი სამხედრო ბაზა დგას შენი ქვეყნის ტერიტორიაზე და რომელიც შექმნილ ვითარებაში, საკუთარი ეროვნული უსაფრთხოების მთავარ გარანტად მიგაჩნია?

– ეს კითხვა, ცხადია, ლოგიკურია, თუმცა ამის მიუხედავად, სომხეთის არჩევნები სამხრეთ კავკასიაში და, ზოგადად, რეგიონში, ძალთა ბალანსს შეცვლის ანუ რუსეთის პოზიციებს შეამცირებს?

– სხვა მკვლევართაგან განსხვავებით, არ ვფიქრობ, რომ ფაშინიანის გამარჯვება სამხრეთ კავკასიაში ძალთა ბალანსს რუსეთის საზიანოდ შეცვლის.

– დამისაბუთეთ, ასე რატომ ფიქრობთ?

– საამისოდ ჯერ რამე წინაპირობა არ ჩანს. ამაზე არც თავად ფაშინიანის წინასაარჩევნო განცხადებები მეტყველებს, სადაც ძალიან ცხადად იყო ნათქვამი, რომ სომხეთის უსაფრთხოების საკითხი რუსეთის უსაფრთხოების ტოლფასია.

პირიქით, რუსეთთან მჭიდრო სტრატეგიული თანამშრომლობა მისთვის ერთადერთი გზაა, რომ აზერბაიჯანულ-თურქული ტანდემის გამარჯვების შემდეგ, სომხური სახელმწიფოს მშვიდობიანი განვითარებისთვის პირობების უზრუნველყოფა შეძლოს.

მოკლედ, ფაშინიანის მხრიდან საგარეო პოლიტიკური ორიენტაციის ცვლილებებზე რამე ფორმით ახლა მინიშნება, დიდი წინდაუხედაობა იქნებოდა, მით უფრო, როდესაც ომის შემდგომ, ქვეყანა უმწვავესი პოლიტიკური და ეკონომიკური გამოწვევების წინაშე დგას.

ცხადია, ყარაბაღის მეორე კონფლიქტის შემდეგ, სომხეთში საზოგადოებრივი განწყობები რუსეთის მიმართ შესამჩნევად ნეგატიური გახდა, მაგრამ ეს საკმარის საფუძველს არ იძლევა, რომ შორს მიმავალი დასკვნები გაკეთდეს.

ფაშინიანმა ჯერ კიდევ 2018 წელს, ხელისუფლებაში მოსვლისას თქვა, რომ სომხეთი რუსეთის სტრატეგიული პარტნიორია, დასავლური ორიენტაცია კი მისთვის დასავლური ღირებულებების სახელმწიფოს მშენებლობას ნიშნავს.

ახლა სწორედ ეს მიზანია მისაღწევი, რომ რეფორმებმა, რომელსაც ნიკოლ ფაშინიანის გუნდი განახორციელებს, ძირეულად უნდა შეცვალოს მართვის სისტემა, რომლის შესაძლებლობაც აქამდე არ მიეცათ.

– რას გულისხმობთ?

– თუნდაც ის ფაქტი, რომ არტურ ვანეციანი, რომელიც 2018 წელს, ხელისუფლებაში მოსულმა ნიკოლ ფაშინიანმა უსაფრთხოების მინისტრად დანიშნა, ამ არჩევნებზე, სერჟ სარქისიანის პარტნიორი და ნიკოლის დაუძინებელი მტერი აღმოჩნდა, ნათლად აჩვენებს, როგორ წინააღმდეგობებს აწყდებოდა თავად სისტემის მხრიდან რეფორმების განხორციელების გზაზე, ხავერდოვანი რევოლუციის გზით მოსული პრემიერი.

– თავის დროზე, როცა ყარაბაღის კონფლიქტი განახლდა, თქვენც და სხვებმაც თქვეს, რომ ამით პუტინი ფაშინიანს სჯიდა. ახლა რა გამოდის – ფაშინიანმა პუტინი კუთხეში მიიმწყვდია?

– ცხადია, რუსეთის დაუფარავი მიზანი ფაშინიანის ხელისუფლებიდან ჩამოცილება იყო. ყარაბაღში საომარი მოქმედებების მთელ პერიოდში, რუსული პროპაგანდისტული მანქანა ღია ომს აწარმოებდა ნიკოლ ფაშინიანის წინააღმდეგ.

სომხეთში, საპარლამენტო არჩევნებამდე ორი დღით ადრე კი, „რია ნოვოსტის“ მიერ ჩატარებული გამოკითხვის შედეგებიც კარგად აჩვენებს, რა მოლოდინები ჰქონდა რუსეთს ამ არჩევნებთან დაკავშირებით (გამოკითხვის შედეგებით, რობერტ ქოჩარიანის ბლოკი – „სომხეთი“, თითქმის ორჯერ უსწრებდა ნიკოლ ფაშინიანის პარტიას).

რეალური მონაცემებით კი, მმართველმა პარტიამ პარლამენტში საკონსტიტუციო უმრავლესობა და მთავრობის ფორმირების მანდატი მიიღო.

ეს სომეხი ხალხის გადაწყვეტილებაა, რომ საბოლოოდ გათავისუფლდეს იმ ძალისაგან, რომელსაც ყარაბაღის ომში გამარჯვების სახელით, ორ ათწლეულზე მეტი ხნის განმავლობაში, სომეხი ხალხი მძევლად ჰყავდა აყვანილი და ხელს უშლიდა მის ნორმალურ სახელმწიფოებრივ განვითარებას.

სომხეთმა არჩევანი გააკეთა მომავალზე და გადაფურცლა წარსული. მართალია, ჯერ ეს მომავალი ძალიან ბუნდოვანია ისევე, როგორც ახალი საერთაშორისო დღის წესრიგის კონტურები, მაგრამ ეს არის შესაძლებლობების ახალი ფანჯარა, რომელსაც, იმედი მაქვს, სომეხი ხალხი ჯეროვნად გამოიყენებს!

ნიკოლ ფაშინიანს ახლა საკმაოდ მაღალი ლეგიტიმაცია და ნდობის მანდატი აქვს, რომ უფრო ხელშესახები გახადოს ის რეფორმები, რომლებიც 2018 წელს დაიწყო, მაგრამ ობიექტურ მიზეზთა და მის მიერ დაშვებული შეცდომების გამოც, ბოლომდე ვერ მიიყვანა და შუა გზაზეა გაჩერებული.

ცხადია, მას ძალიან დიდი გამოწვევები ელის, რადგან ოპონენტთა უმრავლესობაზე სისხლის სამართლის საქმეებია აღძრული და მათ უკანდასახევი გზა არ აქვთ. ამიტომ, ყველა შესაძლო ბერკეტს გამოიყენებენ, რომ არ მისცენ საშუალება ფაშინიანს და მის მთავრობას, ქვეყანა გამოიყვანოს ომის შემდგომი პოლიტიკური და ეკონომიკური კრიზისიდან.

ფაშინიანის ყველა გადაწყვეტილება – იქნება ეს, საზღვრის დემარკაციისა და დელიმიტაციის საკითხი, ყარაბაღის სტატუსი, ზანგეზურის დერეფნის თემა თუ ტყვეთა გაცვლის მტკივნეული პრობლემა – ოპონენტების მხრიდან აუცილებლად იქნება გამოყენებული მისი პოლიტიკური დისკრედიტაციისათვის.

ნიკოლ ფაშინიანი იმაზე კერკეტი კაკალი გამოდგა, ვიდრე ეს პუტინს და ქვეყნის შიგნით, მის ოპონენტებს ეგონათ. სომეხი ხალხი კი იმაზე ბრძენი აღმოჩნდა, ვიდრე საუკუნოვან „მეგობარს“ წარმოედგინა.

თავის მოტყუება იქნება, ვიფიქრთ, რომ სომხეთის ახალ მთავრობას სანიმუშო დემოკრატიის დემონსტრირების ფუფუნება ექნება. მას მოუწევს ძალიან ხისტი ღონისძიებების გატარება, მათ შორის, გუშინდელი კონკურენტების მიმართ.

სხვა შემთხვევაში, ის თავიდან ვერ აიცილებს ობსტრუქციას მათი მხრიდან, მაგრამ არჩევნების შედეგები ნათლად აჩვენებს, რომ ფაშინიანს სომეხი ხალხის მანდატი, თუნდაც არაპოპულარული გადაწყვეტილებების მისაღებად, საკმარისად აქვს.

– დღევანდელი მონაცემებით, ერდოღანის იდეა ანუ ექვსთა კავშირი უტოპიად ხომ არ ჩანს?

– ექვსი ერის პლატფორმას, როგორც ახალ გეოპოლიტიკურ პროექტს, ძალიან ბევრი გამოცდა ელის.

გადაჭარბების გარეშე შეიძლება ითქვას, რომ ამ პლატფორმის მომავალი მთლიანად საქართველოზეა დამოკიდებული.

დასასრული მე-4 გვერდზე



რატომ აღარ აქტიურობს მურმან დუმბაძე

თათია გოჩაძე, 598-43-50-34

ოპოზიციური გაერთიანება „ძალა ერთობაშიას“ წევრი, მურმან დუმბაძე საკანონმდებლო ორგანოში ვერ შევიდა. საქმე ისაა, რომ ნაციონალური მოძრაობის გარშემო გაერთიანებულმა ბლოკმა პარლამენტში 36 დეპუტატის შეყვანა შეძლო, მურმან დუმბაძის ნომერი კი, საკუთარი გადაწყვეტილებით, 41 იყო. რატომ აირჩია „ქართული ოცნების“ საარჩევნო ნომერი, რომელიც მისთვის საბედისწერო აღმოჩნდა? – ამას დუმბაძე წინამდებარე ინტერვიუში ხსნის... ამასთან, „ვერსია“ დაინტერესდა, როგორ აფასებს საკუთარი თანაგუნდელების გადაწყვეტილებას პარლამენტში შესვლის თაობაზე და რატომ აღარ ჩანს პოლიტიკურ სივრცეში პოლიტიკოსი, რომელიც 2012 წელს, „ქართული ოცნების“ აქტიური წარმომადგენელი იყო, თუმცა პარტია მალევე დატოვა და ოპოზიციურ ფლანგს შეუერთდა...

„ჩემი ამოცანა ხელისუფლების დამარცხებაა“

მურმან დუმბაძე: – ჩემი ნომერი მაქვს და ეს არის მყარად ჩამოყალიბებული ვერსია – 41... ამოცანაა, რომ 41-ით დავამარცხო 41!

– ბატონო მურმან, პოლიტიკურ სივრცეში აღარ აქტიურობთ... ნაციონალური მოძრაობის პარლამენტში შესვლას როგორ აფასებთ?

– ვიყავი წინააღმდეგი და ვრჩები იმ პოზიციაზე, რომ პარლამენტში არ უნდა შევსულიყავით, მაგრამ ეს იმ ადამიანების არჩევანია, რომლებმაც გადაწყვეტილება მიიღეს. როცა რამდენიმე პოლიტიკურმა პარტიამ მიიღო პარლამენტში შესვლის გადაწყვეტილება, უკვე აზრი დაკარგა არშესვლის ვერსიამაც, ამიტომ ძალიან ვერ გავამტყუნებ. მე, ინდივიდი მურმან დუმბაძე, ვფიქრობ, რომ არშესვლა უფრო მომგებიანი იქნებოდა იმიტომ, რომ თუ გვინდა, მომავალში არჩევნები არ გაყალბდეს, ამის ერთადერთი საუკეთესო იარაღი პარლამენტში არშესვლა ანუ ბოიკოტია.

ნაციონალური მოძრაობის არა, მაგრამ „ძალა ერთობაშიას“ წევრი ვარ და ვრჩები ჩემს აზრზე, თუმცა ენმ-შიც არიან ადამიანები, რომლებიც ჩემს აზრზე დარჩნენ.

– რადგან გამსვლელი სიის მიღმა აღმოჩნდით, როგორ აპირებთ პოლიტიკური ცხოვრების გაგრძელებას? ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებში მონაწილეობას მიიღებთ?

– გამსვლელი სიაში ჩაწერა ჩემი საქმე არაა, ეს რიგითობა ბუღალტერიაა. ჩემი ამოცანა მიმდინარე ხელისუფლების დამარცხება და უკეთესი ხელისუფლების მოყვანაა. უკეთესი ვერსია მგონია კოალიციური მთავრობა, კოალიციების დრო მოდის 21-ე საუკუნეში. 2018 წელს, როცა „ძალა ერთობაშია“ შეიქმნა, მაშინაც ვამბობდი, მინიმოდელი უნდა შევქმნათ მომავალი საკოორდინაციო მთავრობის-მეთქი და მგონი, ქვეყანა მიდის ამ მიმართულებით. მთავარია, სრულად პროპორციულ არჩევნებზე გადავიდეთ და შევქმნათ რეალური კოალიციური მთავრობა.

მიმაჩნია, რომ თვითმმართველობის არჩევნები ყველაზე მნიშვნელოვანია, რადგან ბოლო 30 წლის განმავლობაში, რეალური თვითმმართველობები არ გვაქვს. გვაქვს მუნიციპალიტეტის დონეზე საკრებულოები, რომელთა ფუნქცია ხელფასის აღებაა. ბიუჯეტის განაწილება, ადგილობრივი ინიციატივები – ყველაფერი ეს, ცენტრალურ დონეზე წყდება. არადა, მაგალითად, ამერიკელი მოქალაქე თვითმმართველობის არჩევნებს უფრო დიდ ყურადღებას აქცევს, ვიდრე – საპრეზიდენტოს იმიტომ, რომ ადგილობრივი ხელისუფლება უფრო ახლოსაა მოქალაქესა და მის პრობლემებთან.

საქართველოში კი თვითმმართველობას არ ვაქცევთ სათანადო ყურადღებას. ამ ეტაპზე, 2021 წლის არჩევნები გადაიქცევა რეფერენდუმად, რომ ერთხელ და სამუდამოდ დავამკვიდროთ წესი, არჩევნები არ გაყალბდეს და გაუყალბებელი არჩევნებით არჩეული პარლამენტი შექმნის რეალურ თვითმმართველობას.

მიმაჩნია, რომ საქართველოში თვითმმართველობები უნდა გაძლიერდეს. რეალურ თვითმმართველობებზე გადასვლა კი იმას ნიშნავს, რომ ქონება და ინიციატივები გადავა ადგილზე და ძალიან აღარ ვიქნებით დამოკიდებულები ცენტრალურ ხელისუფლებაზე.

– ბატონო მურმან, გეგმების შესახებ გკითხეთ და არ მიპასუხეთ...

– 2021 წლის არჩევნები არ იქნება ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნები. ეს იქნება რეფერენდუმი, რომელიც რეალურ არჩევნებს დანიშნავს, რომ ჩავატაროთ გაუყალბებელი არჩევნები დამკვირვებლებით და ელექტრონული ვერსიით...

მე, როგორც მოქალაქე და „ძალა ერთობაშიას“ წევრი, ბუნებრივია, ვიქნები აქტიური, მაგრამ ვიქნები თუ არა კანდიდატი ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებში, ჯერჯერობით, ამაზე ლაპარაკი ზედმეტია.

– „ძალა ერთობაშიას“ ბლოკი ამ არჩევნებისთვისაც შენარჩუნდება?

– დიახ, ეს ფორმატი აუცილებლად შენარჩუნდება.

პოლიტიკური კავკასიური ცარცის წრის კულუარები ანუ რატომ არ ახსენეს ბაიდენ-პუტინის შეხვედრაზე საქართველო

– ანუ?

– საქართველოს გარეშე, ის არ შედგება. რუსეთისა და თურქეთისთვისაც გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს, ამ კონფიგურაციაში საით გადაიხრება სიმძიმის ცენტრი. იქნება თურქეთი, აზერბაიჯანი, საქართველო VS სომხეთი, რუსეთი, ირანი თუ საქართველო სომხეთთან ერთად, ირანისა და რუსეთის ფრთის ქვეშ აღმოჩნდება.

საქართველო საერთოდაც რომ გამოვრიცხოთ, ექვსი ერის პლატფორმის განხორციელება შეუძლებელია აზერბაიჯანსა და სომხეთს შორის დღეს არსებული წინააღმდეგობების დაძლევამდე.

საკითხთა ჩამონათვალი, რომელთა გადაწყვეტაც წინ უნდა უძღვოდეს ამ პროექტის რეალიაზიციას, საკმაოდ მრავალრიცხოვანი და მწვავეა, თუმცა მათ გადასაწყვეტად მზაობა, ჯერჯერობით, არც ერთ მხარეს აქვს.

– ქალბატონო ლელა, ბარემ ერდოღანის აზერბაიჯანში ვიზიტზეც გკითხავთ: რას ემსახურებოდა ეს აუდიენცია და ქალაქი შუშა შემთხვევით შეირჩა ერდოღანის სამასპინძლოდ?

– ერდოღანისა და ალიევის ერთობლივი ვიზიტი ქალაქ შუშაში, სომხეთის საპარლამენტო არჩევნებამდე, სწორედ ამის დასტურია.

– რისი დასტური?

– ჯერჯერობით, თურქეთი და აზერბაიჯანი ცდილობენ, მაქსიმალურად განიმტკიცონ საომარი მოქმედებებისას მიღებული უპირატესობა და კვლავ ძალის დემონსტრირების პროცესში არიან.

სომხურ პოლიტიკურ ისტებლიშმენტს და საზოგადოებას ამ ვიზიტზე საკმაოდ მძაფრი რეაქცია ჰქონდა, შესაბამისი დიპლომატიური მექანიზმების გამოყენებით.

სამწუხაროდ, საქართველოში ნაკლები ყურადღება დაეთმო ერდოღანის ყარაბაღულ ვიზიტს და „შუშის დეკლარაციას“, რომელიც გახლავთ გზამკვლევი აზერბაიჯანისა და თურქეთის ურთიერთობებს შორის, მაგრამ ამავდროულად, არის უმნიშვნელოვანესი დოკუმენტი, რომელიც სრულიად გამჭვირვალეს ხდის თურქეთის სტრატეგიას „კავკასიურ ცარცის წრეში“. შუშაში ვიზიტის დროს, ერდოღანმა ხაზი გაუსვა, რომ ექვსი ერის პლატფორმის შესახებ ესაუბრა საქართველოს პრემიერ-მინისტრს, ირაკლი ღარიბაშვილს და აპირებს, განაგრძოს მუშაობა საქართველოს ხელისუფლებასთან ამ პროექტთან დაკავშირებით.

სამწუხაროა, რომ საქართველოს მთავრობამ თურქეთში პრემიერის ვიზიტის შეფასებისას, ამ საკითხს გვერდი საერთოდ აუარა და საზოგადოებას არაფერი უთხრა, როგორი იყო ირაკლი ღარიბაშვილის პოზიცია ერდოღანის მიერ წამოჭრილ თემასთან დაკავშირებით.

– ისე, ბაიდენმა პუტინთან საუბრისას, საქართველო რატომ არ ახსენა?

– ბაიდენისა და პუტინის შეხვედრის დროს, საქართველოს განსახილველ საკითხთა დღის წესრიგში არმოხვედრა, ჩვენთვის მოულოდნელი არ უნდა ყოფილიყო.

ამ შეხვედრის ძირითადი მიზანი პრობლემების გადაწყვეტა კი არ გახლდათ, არამედ, შეთანხმება პრობლემების გადაწყვეტის აუცილებლობაზე.

შეხვედრისათვის უაღრესად წიანააღმდეგობრივი წინაპირობები არსებობდა და ამ ფონზე, სრულიად არ არის გასაკვირი საქართველოს არხსსენება და თავის არიდება დამატებითი ბარიერების შესაქმნელად, თუმცა უნდა ვივარაუდოთ, რომ სამხრეთ კავკასიის საკითხი განხილული იქნებოდა ბაიდენისა და ერდოღანის შეხვედრაზე, რომელიც 14 ივნისს შედგა.

ოფიციალური ვაშინგტონისა და ანკარის ინფორმაციით, შეხვედრის დღის წესრიგში იყო ყარაბაღის საკითხი, რომლის გადწყვეტაც, ზოგადი კავკასიური კონტექსტის განხილვის გარეშე, ძნელად წარმოსადგენია.

ალბათ, უნდა გავთავისუფლდეთ ილუზიისაგან, რომ ასეთი რანგის შეხვედრებზე, საქართველოს საკითხი დღის წესრიგში დადგება საქართველოს ძალისხმევისა და ნების გარეშე, რასაც ძალიან დიდი მოსამზადებელი სამუშაო და მუდმივი ინიციატივები სჭირდება.

ჩვენს ხელისუფლებას კი ამის არც სურვილი გააჩნია და არც – რესურსი.

„გირჩი“ სუს-ის აგენტურაა... გიორგი ვაშაძე დაკემსილი „ნასკებით“ დადიოდა... ალეკო ელისაშვილი კი პროკურატურასთან თანამშრომლობდა!“

„პეტრე ცაავას აუცილებლად გავაწნავ სილას!“ – ზესკანდალური ინტერვიუ სანდრო ბრეგაძესთან

თათია გოჩაძე
598-43-50-34

„ქართული მარშის“ ლიდერი სანდრო ბრეგაძე სოციალურ ქსელში წერს: „იმის გამო, რომ საქართველოს ხელისუფლება ნაბიჯს არ დგამს დავით გარეჯის დასაბრუნებლად, მე და ქართული მარშის გენ-მდივანი, ირაკლი შიხიაშვილი, მივემგზავრებით ძალიან მნიშვნელოვანი ვიზიტით, რომელიც შეეხება დავით გარეჯის საკითხს! გარკვეული დრო ვერ ვიქნებით აქ, მაგრამ საინტერესო და მნიშვნელოვანი სიახლეებით დაგიბრუნდებით!
ქართულ ოცნებას თუ ვუცქირეთ, მალე საგარეჯომდე დათმობენ საქართველოს ძირძველ ტერიტორიას... დავით გარეჯი საქართველოა!“
„ვერსია“ სანდრო ბრეგაძესთან ინტერვიუს გთავაზობთ:

– ბატონო სანდრო, გაგვიმხილეთ, სად მიემგზავრებით?

– ამას ჯერჯერობით საიდუმლოდ დავტოვებ, რადგან ვიზიტს შეუშლის ხელს, მაგრამ შემიძლია, დარწმუნებით გითხრათ, რომ დავით გარეჯის საკითხზე მივდივართ.

– აზერბაიჯანში მიდიხართ?

– ვერ დაგიკონკრეტებთ, საქმიდან გამომდინარე. რომ ჩამოვალ, ყველაფერს გეტყვით. შემიძლია, გითხრათ, რომ რუსეთში არ მივდივარ და არც ვაპირებ.

– დავით გარეჯთან დაკავშირებით რამე მოლაპარაკების ფორმატის ფარგლებში აპირებთ გამგზავრებას?

– დიახ, საკმაოდ საინტერესო ფორმატია. მოგეხსენებათ, რომ შევხვდით აზერბაიჯანის ელჩს და მასთან გვაქვს საკმაოდ მჭიდრო კომუნიკაცია ამ საკითხთან დაკავშირებით. ასევე, საკმაოდ საინტერესო და მჭიდრო ურთიერთობა გვაქვს თურქეთის რესპუბლიკის ელჩთან, რომელიც მოწადინებულია, რომ ბევრი საკითხი გადაიჭრას. ჩვენ ვაცადეთ საქართველოს ხელისუფლებას, მაგრამ დავინახეთ, რომ არჩევნების შემდგომ ერთი ნაბიჯიც არ გადადგმულა დავით გარეჯის დასაბრუნებლად.

– საინტერესოა, ამ მოლაპარაკებებს ელჩებთან რა სტატუსით აწარმოებთ?

– როგორც პარტია „ქართული მარშის“ ლიდერი. ნიკა მელიას თუ აქვს აშშ-ის ელჩთან მოლაპარაკების წარმოების უფლება, მე აზერბაიჯანის ელჩთან არ მაქვს ამის უფლება?! მაინცდამაინც ნაციონალური მოძრაობის წევრი უნდა ვიყო, რომ მოლაპარაკებები ვაწარმოო?!

მარტო მიხეილ სააკაშვილს არ გაუყიდია დავით გარეჯი, დღესაც იყიდება, ყოველდღიურად. ტრანსპორტირება რომ ხდება ნავთობის, სწორედ მაგიტომ ხდება ყველაფერი ეს... აზერბაიჯანულ მხარესთან დიალოგი რომ წარმოებულიყო ამდენი ხნის განმავლობაში, დავით გარეჯის პრობლემა მეზობლობისა და მეგობრობიდან გამომდინარე, დადებითად, მოკლე ხანში გადაწყდებოდა.

– ბატონო სანდრო, რამდენიმე დღის წინ განაცხადეთ, რომ ეკლესიაში ბევრი იუდაა, ვინ იგულისხმეთ?

– პეტრე ცაავა არის თუ არა „ცრუ პეტრე“, „იუდა“ და გამყიდველი?! პეტრე ცაავები ძალიან ბევრნი არიან, სამწუხაროდ, ჩვენს ეკლესიაში და გგონიათ, ცაავა განკვეთილია?! ადამიანი, რომელმაც საშინელება თქვა პატრიარქზე, მხოლოდ განკვეთილი კი არა, საჯაროდ გაკიცხულიც უნდა ყოფილიყო. არც განკვეთილია, მღვდელმსახურების უფლებაც აქვს და მეუფის სტატუსიც.

– ამას წმინდა სინოდი წყვეტს ანუ მისი პრეროგატივაა, ვის განკვეთენ და ვის – არა...

– ალბათ, ასეა... პეტრე ცაავა იქ ბევრია, მხოლოდ ერთი „იუდა ისკარიოტელი“ არაა.

– კი, მაგრამ რა ისეთ ინფორმაციას ფლობთ, რაც ამის თქმის საფუძველს გაძლევთ?

– კვლევას რომ დავამთავრებ, ყველაფერს გეტყვით. ეს არა მარტო ეკლესიას, არამედ, ხელისუფლებასაც ეხება. შემიძლია, დარწმუნებით გითხრათ, რომ საკმაოდ მძიმე სურათია. ვფიქრობ, დღეს, საქართველოს მართლმადიდებლური სამოციქულო ეკლესია ძალიან სერიოზული კატაკლიზმის წინაშე დგას. უფრო სწორად, ეს პროცესი დაწყებულია. საშინელ დამპყრობელ ჯალალ ედ დინს, რომელმაც სიონს გუმბათი ახადა და თავისი ინდური ტახტი დადგა, შეიძლება, იმასაც კი არ მიუყენებია იმდენი ზარალი ჩვენი ეკლესიისთვის, როგორც „იუდა ისკარიოტელები“ აყენებენ. თავის დროზე საქართველოს პირველმა პრეზიდენტმა, ზვიად გამსახურდიამ დაიწყო მხილების პროცესი და შემდგომში ერთ-ერთი მიზეზი, რის გამოც დამხობილ იქნა, ეს იყო. ამას გეუბნებით, როგორც იმ მოვლენების მომსწრე, ზვიად გამსახურდიას მომხრე და ახლო გარემოცვაში მყოფი ადამიანი. პეტრე ცაავას მაგალითი იმიტომ მომყავს, რომ ყველა ლოგიკით და საეკლესიო კანონის მიხედვით, არა მარტო განკვეთილი უნდა იყოს, არამედ, ანათემას უნდა იყოს გადაცემული, მაგრამ ცაავას ზოგ-ზოგიერთზე იმდენი კომპრომატი აქვს, რომ ხელს ვერ ახლებენ.

– ანუ, ცაავას სინოდის წევრებზე აქვს კომპრომატები?

– ვერ დავაკონკრეტებ, ვინ არიან ეს ადამიანები, სანამ არ მექნება დოკუმენტები... მე, მაგალითად, პეტრე ცაავა რომ ქუჩაში შემხვდეს, აუცილებლად გავაწნავ სილას.

– ეს არის ძალადობა და არ მართლდება, ბატონო სანდრო!

– პასუხს ვაგებ მერე ამაზე, რა ვქნა?! ან კარგი, თუ ეს ძალადობა და კანონდარღვევაა, მაშინ ძალიან ცუდ სიტყვებს ვეტყვი...

– ბატონო სანდრო, შესაძლოა, ვინმემ წინასაარჩევნოდ მსგავსი სენსიტიური საკითხების წამოწევა ამომრჩევლის განწყობებზე „თამაშად“ ჩაგითვალოთ...

– ვინც ასე ჩათვლის, მათ ვუპასუხებ, რომ არჩევნებში არ ვაპირებ მონაწილეობის მიღებას, იმ ჟვანიასა და ცესკო-ს პირობებში, რომელიც წარა-მარა აყალბებს არჩევნებს. როგორ გგონიათ, ცესკო-მ ნაციონალურ მოძრაობას გაუყალბა არჩევნები? არავითარ შემთხვევაში! ენმ-ის ერთი ხმაც არ დაკლებია. ამ არჩევნებში ხმები გაუყალბდა „ქართულ მარშს“ და „პატრიოტთა ალიანსს“ ანუ ეროვნულ ძალებს, თორემ მშვენივრად დავინახეთ, როგორ შეცუნცულდნენ პარლამენტში, სპექტაკლები დადგეს, როგორ იხეოდნენ შუაზე ბოკერიები, მელიები და ა.შ. სინამდვილეში, ძალიან კარგად ვიცოდი, რომ, მაგალითად, პარტია „გირჩი“ არის ბიძინა ივანიშვილის მიერ შექმნილი.

მოგიყვებით ისტორიას, როგორ შეიქმნა – პავლე კუბლაშვილი და მისი ძმა, რომელიც უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე იყო, როცა გირგვლიანის მკვლელები გარეთ გამოუშვეს და რობაქიძისა და ვაზაგაშვილის მკვლელები არ დასაჯეს... ამიტომ, ეს ადამიანი ციხეში უნდა იჯდეს... ძმებ კუბლაშვილებს, ამ ორ ავაზაკს, კორუმპირებულ სუბიექტს მისცეს გარანტიები, რომ მათ შეუნარჩუნებდნენ კირის ბიზნესს ზემო იმერეთში, რომელიც მრავალმილიონიანი ბიზნესია და რომელსაც წელიწადში, რამდენიმე ათეული მილიონის მოგება მოაქვს. სამაგიეროდ, მათ უნდა გამოეყვანათ ნაციონალური მოძრაობის რიგებიდან რამდენიმე დეპუტატი და შეექმნათ პარტია, რომელსაც შემდგომში დაარქვეს „გირჩი“ და რომელსაც უზრუნველყოფილი აქვს ყველაფერი. სწორედ კუბლაშვილი გახლდათ ის ადამიანი, რომელიც 20 ივნისს, მოლაპარაკებებს აწარმოებდა ნაციონალურ მოძრაობასა და ხელისუფლებას შორის. „გირჩი“ სუს-ის აგენტურაა!.. მეგრელიშვილი არის ჩვეულებრივი აგენტი, რომელიც არაერთხელ იქნა ნარკოტიკების მოხმარებასა და რეალიზაციაზე დაკავებული...

– ეს სერიოზული ბრალდებებია, ბატონო სანდრო!

– მიჩივლოს სასამართლოში, რა ვქნა! გეუბნებით, რომ დააპატიმრეს ეს ადამიანი და გამოუშვეს ისე, რომ არც გააფორმეს რამდენჯერმე. მომაწოდეს ეს ინფორმაცია და პირდაპირ გეუბნებით, რომ ადამიანი ქუჩაში ეწევა „პლანს“ და კაციშვილი ხელს არ ადებს. პარტიაში მოჰყავს ნარკოტიკები...

ამასთან, ვაშაძე რომ შევიდოდა პარლამენტში, ვანო ჩხარტიშვილის სიძე, რომელსაც ჩხარტიშვილი აძლევს ფულს და რომელმაც 4 თუ 5 მილიონი დახარჯა არჩევნებში... ცალ-ცალი კალოშით მოსიარულე ვაშაძეს, რომელიც დიდი ხანია, მახსოვს და დაკემსილი „ნასკებით“ დადიოდა, 4 მილიონი საიდან აქვს?! კარგი, რა! მისცა ვანო ჩხარტიშვილმა და შემდეგ უბრძანა, როცა საჭირო გახდა, უნდა შეხვიდე პარლამენტშიო და შევიდა კიდეც. აი, ამათთვის გააყალბეს ეს არჩევნები, რომ ესენი შესულიყვნენ.

ალეკო ელისაშვილი, რომელიც პირდაპირ თანამშრომლობდა პროკურატურასთან და უშიშროებასთან და რომელმაც ნაციონალური მოძრაობის დროსაც კი დააჭერინა ახალგაზრდები. 37 წელს რომ ჩამშვებები იყვნენ, ასეთი ჩამშვები ავაზაკი იყო, რომელმაც გიორგი გაბედავა, რატი მაისურაძე და 7 ახალგაზრდა დააჭერინა უმიზეზოდ და გააშვებინა ციხეში! ეს „ნასეტკები“ რომ შევიდოდნენ პარლამენტში, ამაზე ორი აზრი ხომ არ არსებობდა?! მათ აჩუქა ხმები ჟვანიამ, ამაშია მთელი უბედურება!

„ჩემი და ცოტნეს ლოგინი კოლხური კოშკის ეზოში დაწვეს“

თათია გოჩაძე
598-43-50-34

რატომ არ მიიყვანეს გერმანიიდან დაბრუნებული ცოტნე გამსახურდია მშობლიურ სახლში – ექსკლუზიური ინტერვიუ ანა ჯაბაურთან



ზვიად გამსახურდიას ვაჟი, ცოტნე გამსახურდია, ხანგრძლივი მკურნალობის შემდეგ საქართველოში დაბრუნდა. ცოტნე 2019 წლის 19 დეკემბერს დაჭრეს, რის შემდეგაც მკურნალობას თურქეთისა და გერმანიის წამყვან კლინიკებში გადიოდა. როგორია ახლა ცოტნე გამსახურდიას ჯანმრთელობის მდგომარეობა და რატომ გადაწყდა მისი სამშობლოში დაბრუნება? – „ვერსია“ ცოტნეს მეუღლეს, ანა ჯაბაურს ესაუბრა:

– საქართველოში დაბრუნება იმიტომ გადავწყვიტეთ, რომ ძალიან გაგრძელდა ცოტნეს ჰოსპიტალიზაცია. გერმანელი პროფესორების რეკომენდაციითა და თითქმის მოთხოვნით, ამ ეტაპზე, აუცილებელია ცოტნეს დაბრუნება საკუთარ სახლში და გარემოში, რომელსაც მიჩვეულია და რომელიც უყვარს. მოგეხსენებათ, რომ ასეთი ტიპის პაციენტის რეაბილიტაციისთვის წარმატების პირველი გარანტია მისი გაწონასწორებული და პოზიტიური ფსიქო-ემოციური მდგომარეობაა. სანამ ცოტნეს ჰქონდა ინფექციების დიდი რისკი, გართულებები და იყო საჭიროება ქირურგიული ოპერაციების, მანამდე მოთავსებული იყო ჰოსპიტალში. ამ ეტაპზე კი მისთვის საჭიროა მხოლოდ ვარჯიშები, ფიზიოთერაპია, ერგოთერაპია, კოგნიტიური თერაპია, დადებითი ემოციები და უსტრესო გარემო.

თავდაპირველად, დაგეგმილი გვქონდა მისი ჩამოყვანა 10 აპრილს, რადგან ცოტნეს მდგომარეობა იყო კარგი და იმედისმომცემი. მან უკვე დაიწყო ლაპარაკი, შეეძლო საკუთარი ნების გამოხატვა და ამა თუ იმ, მისთვის საჭირბოროტო საკითხზე პოზიციის დაფიქსირება. ყოველდღიურად იმდიდრებდა ლექსიკას, ამბობდა ახალ სიტყვებს და წინადადებებს, მაგრამ მოულოდნელად, მარტის ბოლოს, მდგომარეობა გაურთულდა დაავადებით, რომელიც თავის ტვინის ამგვარი დაზიანების მქონე პაციენტებში, პირველი 5 წლის განმავლობაში, 80%-ში გვხვდება. ცოტნეს მდგომარეობა აღნიშნული დაავადების გამო გართულდა და საჭირო გახდა სასწრაფოდ მისი გადაყვანა სპეციალიზებულ ცენტრში. ეს პერიოდი, ჩვენდა სავალალოდ, დაემთხვა კათოლიკურ წინასაადგომო დღეებს, რომლის დროსაც მთელი გერმანია ისვენებს რამდენიმე დღის განმავლობაში და ახალი პაციენტის მიღებას კლინიკები თავს არიდებენ. ამას დაემატა ის სირთულეც, რომ გერმანიაში პაციენტის გადაყვანა სწრაფად არ ხდება, გადასალახია ბიუროკრატიული საფეხურები და რაც მთავარია, წინასწარ შესატანია მკურნალობის თანხა. რადგან გამოუვალ მდგომარეობაში ვიყავით, პროცესში ჩავრთეთ საქართველოს საელჩო გერმანიაში. მათ დაიწყეს ზემოაღნიშნულ ცენტრებთან ინტენსიური დაკავშირება, დაუკავშირდნენ 30-მდე ასეთ კლინიკას, თუმცა ასე მოკლე დროში, ბიუროკრატიული საფეხურების გავლისა და თანხის წინასწარი შეტანის გარეშე, ჩვენს მიღებაზე ყველამ უარი თქვა. ძირითადად, გვიბარებდნენ სადღესასწაულო დღეების გასვლის შემდეგ. სასოწარკვეთილი ინტერნეტში ვეძებდი მსგავსი ტიპის სხვა კლინიკებსაც და შემთხვევით წავაწყდი ერთ-ერთი კლინიკის დირექტორის სახელსა და გვარს. ეს იყო ბატონი ალი გორჯი. მეხსიერებაში ამომიტივტივდა, რომ „გორჯი“ ირანულად ნიშნავს „ქართველს“ და ხავსივით მოვეჭიდე მის შესაძლო ქართულ წარმომავლობასა და სისხლის ყივილს. დავრეკე საელჩოში და ვთხოვე, რომ მას დაკავშირებოდნენ. ჩვენდა საბედნიეროდ, ჩემი ვარაუდი გამართლდა, ბატონი გორჯი აღმოჩნდა ქართული წარმოშობის ირანელი და როცა გაიგო, რომ პაციენტი იყო ქართველი და ზვიად გამსახურდიას ვაჟი, მან, ფაქტობრივად, უპრეცედენტო შემთხვევა დაუშვა გერმანიისთვის. ყოველგვარი ბიუროკრატიული საფეხურების გავლის, გადასახადის შეტანისა და ათასი სხვა წვრილმანის გათვალისწინების გარეშე, განაცხადა: „დიახ, მე ვარ ქართული წარმოშობის ირანელი და დღესვე მიმყავს ცოტნე!“

რამდენიმე საათში, მანქანით გადაგვიყვანა სპეციალიზებულ კლინიკაში და მოგვამაგრა გერმანიაში ერთ-ერთი ყველაზე ძლიერი სპეციალისტი ამ დარგში, პროფესორი კრისტოფ კელინგ ჰაუზი. მართლაც, ბატონმა კელინგ ჰაუზმა ყველაფერი გააკეთა ცოტნეს მძიმე მდგომარეობიდან უხიფათოდ გამოსაყვანად და მდგომარეობის მყარად დასასტაბილურებლად. აქვე, მინდა აღვნიშნო ამ პროფესორის არაჩვეულებრივი თავმდაბლობა და ადამიანურობა – არასამუშაო დღეებში თავზე ადგა ცოტნეს და ხშირად მისთვის ასრულებდა, როგორც ექიმის, ასევე, ექთნის მოვალეობას. როდესაც ცოტნეს გადაყვანის აუცილებლობა შეიქმნა ინტენსიურ განყოფილებაში, ის სპეციალურ მედპერსონალს არ დალოდებია, თავად მოჰკიდა ცოტნეს საწოლს ხელი და მიიყვანა ინტენსიურ განყოფილებაში. ერთი თვის წინ, ბატონი ჰაუზი დაჟინებით მირჩევდა, რომ ცოტნე თბილისში წამომეყვანა, რადგან მას საკუთარი გარემო და სამშობლო სჭირდებოდა. ძმებთან შეთანხმებით, გადავწყვიტეთ, რომ ერთი თვით კიდევ დაგვეტოვებინა ცოტნე, რათა დავრწმუნებულიყავით სტაბილური მდგომარეობის სიმყარეში და მხოლოდ ორი დღის წინ დავბრუნდით სამშობლოში.

– ქალბატონო ანა, როგორც გაირკვა, ცოტნე არ იმყოფება „კოლხურ კოშკში“, არადა, ექიმი ამბობს, რომ მისთვის მნიშვნელოვანია საკუთარ სახლში, ნაცნობ გარემოში ყოფნა... რატომ არ მიიყვანეთ თავის სახლში?

– ეს მთელი ჩვენი ოჯახისთვის ძალიან მტკივნეული საკითხია, რომელზეც ლაპარაკი ჩემთვის ნამდვილად არ არის ადვილი. საზოგადოების ნაწილისთვის, მგონი, ცნობილიცაა ის ობიექტური მიზეზები, რის გამოც ცოტნე საკუთარ სახლში ვერ დაბრუნდა მაშინ, როცა ეს ყველაზე მეტად სჭირდება. ამჟამად ვიმყოფებით ჩემს ბინაში და დიდი იმედი გვაქვს, ცოტნე დაბრუნდება იქ და ისე, სადაც და როგორც 2019 წლის 19 დეკემბრამდე იმყოფებოდა და რაც, ფაქტობრივად, მისი არჩევანია.

– დიახ, ბოლოს ინტერვიუ ბატონ ცოტნესთან „კოლხური კოშკის“ ეზოში ჩავწერე და მივხვდი, მისთვის როგორი მნიშვნელოვანი იყო ის გარემო... იმედი მაქვს, ძალიან მალე შეძლებს იქ ცხოვრებას...

– დიახ, თქვენ მართალი ხართ, ცოტნე შეყვარებულია თავის კოშკზე, უბანზე და ეზოზე. ეს კარგად ვიცით მისი ოჯახის ყველა წევრმა თუ ახლობელმა, ამიტომ ყველანაირად ვეცდებით, ცოტნე საკუთარ სახლში დავაბრუნოთ. განსაკუთრებით, ამაზე ზრუნავს მისი ძმა, გიორგი გამსახურდია, რომელიც ადგას სამართლებრივ გზას, მაგრამ სამწუხაროდ, ეს გზა დროის გარკვეულ პერიოდს მოითხოვს. ცოტნეს პროფესორმა ხაზგასმით გვითხრა, რომ თუ იქნება თავის სახლში, ჩვეულ გარემოში და ადამიანებთან, რომლებიც მას უყვარს, ჩათვალეთ, რომ წარმატების კიდევ 50%-იანი შანსი გემატებათ ცოტნეს გამოჯანმრთელების გზაზეო.

– ქალბატონო ანა, შეიძლება ითქვას, რომ დედაა წინააღმდეგი მისი „კოლხურ კოშკში“ დაბრუნებისა?

– იმ ქალბატონის შესახებ კომენტარის გაკეთება არ მსურს. ფაქტია ერთი რამ – დღესდღეობით, კოლხურ კოშკში სწორედ იმიტომ ვერ ვბრუნდებით, რომ ცოტნეს იქ არ ექნება მშვიდი, უსტრესო და პოზიტიური გარემო ამ ეტაპზე. თქვენ წარმოიდგინეთ, ჩემს ბინაშიც კი ერთი დღის ჩამოსულები ვიყავით, როცა ვანდალური აქტი განხორციელდა და რომლის გამოც პოლიციის გამოძახებაც გახდა საჭირო. მესმის, რომ არავის უფლება არ უნდა დაირღვეს – არც სხვისი და არც ჩემი, მაგრამ ამჟამად უპირველესია ცოტნეს უფლებების დაცვა. ვერავინ გამოიყენებს მის უმწეო მდგომარეობას და ვერ წავა ცოტნეს საკუთარი არჩევანის წინააღმდეგ. ამისთვის ყველაფერს გავაკეთებთ მეც და ცოტნეს ძმებიც და არა მარტო – ცოტნეს ყველა მეგობარი და მთელი სამეზობლო მზადაა, თავისი წვლილი შეიტანოს ცოტნეს უფლებების დაცვაში. ყველაფერს გავაკეთებთ იმისთვის, რომ მოხდეს ისე, როგორც ცოტნეს სურს და არა – ისე, როგორც ვინმე სხვას, მით უმეტეს, თუ ამ „ვინმე სხვასთან“, ათეულობით წლების განმავლობაში, ცოტნეს უკიდურესად დაძაბული და მტრული ურთიერთობა ჰქონდა.

– ძალიან სამწუხაროა, რასაც მიამბობთ, ქალბატონო ანა...

– გუშინ ერთი სამწუხარო ფაქტიც გავიგეთ, რაზეც ძალიან უარყოფითი რეაქცია ჰქონდათ, განსაკუთრებით ცოტნეს ძმებს (სამწუხაროდ, პანდორას ყუთივით, ახალ-ახალი „სიურპრიზი“ ჩნდება). ცოტნემ 2016 წელს, ეროვნულ ბიბლიოთეკაში არსებულ კონსტანტინე გამსახურდიას კაბინეტს მწერლის ცნობილი, ხის სავარძელი საზეიმოდ გადასცა, რომელზეც მწერალს არაერთი ფოტო აქვს გადაღებული. გუშინ კი „კოლხური კოშკის“ ერთ-ერთმა მკვლევარმა გაარკვია, რომ 2020 წლის 15 ივნისს, ძალიან უსიამოვნო ფორმით მივარდა მავანი თანამოაზრეებთან ერთად და ძმების მიერ, ფაქტობრივად, მუზეუმისთვის შეწირული ნივთი გამოიტაცეს და სახლში წაიღეს. გარდა ამისა, გეტყვით, რომ „კოლხური კოშკის“ ეზოში მოხდა ცოტნეს მიერ ჩაყრილი 180 ძირი ვაზის აჩეხვა და დაწვა, რის შემდეგაც, თვითმხილველების გადმოცემით, გამოიტანეს ჩემი და ცოტნეს ლოგინი და კოცონზე დაწვეს. ორი-სამი დღის წინაც დაგვირეკეს მეზობლებმა და გვამცნეს, რომ ისევ დაინთო კოლხური კოშკის ეზოში დიდი კოცონი, ამოვიდა შავი, ჭვარტლიანი ბოლი ეზოდან და ისევ მოხდა ცოტნეს სახლიდან გამოტანილი ნივთების დაწვა. ესაა ფაქტები, რომელსაც ცოტნეს ახლო მეზობლები ჰყვებიან. ახლა თქვენ განსაზღვრეთ, ასეთ პირობებში, შეიძლება, იქ ცოტნეს დაბრუნება?!

როგორ აპირებს ექსპრემიერი გახარია ეკლექტური ეკონომიკური პროგრამით ქვეყნის აღორძინებას

მაია მიშელაძე
593-51-90-12



რას ეფუძნება ორნიშნა ეკონომიკური ზრდა, ყველაზე დაბალი გადასახადები, ახალი საინვესტიციო პოლიტიკა და მიმზიდველი სამეწარმეო გარემო

გიორგი გახარიას პარტიას პროგრამის პრეზენტაცია ჯერ არ გაუმართავს, თუმცა, 21 ივნისს, პარტიის ოფისში ის ჟურნალისტები მიიწვიეს, რომლებიც ეკონომიკასა და ბიზნესს აშუქებენ – ცხადია, პროგრამის ეკონომიკური ნაწილის განსახილველად. ხაზს ვუსვამ, პარტიის სამოქმედო პროგრამა ჯერ არ დასრულებულა, შესაბამისად, პროგრამის ეკონომიკური ნაწილის ის ვერსიაც, რომელიც ხელთ მაქვს და რომლის მიმოხილვასაც ვაპირებ, საბოლოო არაა. მეტიც, გამორიცხული არაა, რომ ის შენიშვნები, რომლებსაც ჩვენ, ჟურნალისტები გამოვთქვამთ, თუკი პარტიისთვისაც მისაღები აღმოჩნდება, გაითვალისწინონ კიდეც. სიტყვა გამიგრძელდა, ამიტომ პირდაპირ საქმეზე გადავალ და ექსპრემიერის ახალი პარტიის პროგრამის ეკონომიკური ნაწილის მიმოხილვას გთავაზობთ, ჩემი მოკრძალებული შენიშვნებით.

ვიდრე გიორგი გახარიას მთავარი ეკონომიკურ გზავნილების მონახაზს (ვიმეორებ, ესაა პროგრამის სამუშაო და არა საბოლოო ვერსია, რომელიც შეიძლება, შეიცვალოს) გაგაცნობთ, აუცილებლად უნდა გითხრათ, რომ სხვა პარტიებს სერიოზული მუშაობა მოუწევთ – ვაღიარებ, 10 წელზე მეტია, წინასაარჩევნო პერიოდში, სხვადასხვა პარტიის ეკონომიკური პროგრამის ანალიზი გამიკეთებია, მაგრამ ასეთი სერიოზული და მიზნობრივ აუდიტორიაზე სწორად მორგებული ნაკლებად მინახავს. ბოლომდე ობიექტური ვიქნები და ვაღიარებ, 2012 წელს, განსაკუთრებით „ქართული ოცნების“ პროგრამა მომეწონა – ჯანდაცვისა და სოციალური ნაწილის ხარჯზე. 2020-ის არჩევნებზეც, მეტ-ნაკლებად დახვეწილი, ციფრების ბრახა-ბრუხისგან დაცლილი და რეალობასთან მიახლოებული პროგრამები ჰქონდათ „ოცნებას“, ევროპულ საქართველოს, ლელოს და გიორგი ვაშაძეს.

მართალია, ყველაზე მეტად სწორედ გემოვნებაზე დაობენ, მაგრამ რას ვიზამთ, ადამიანის ბუნება ასეა მოწყობილი. ესაა მიზეზი, რის გამოც წლებია, მარტივი გამოსავალი, გნებავთ, „გასაძრომი“ ვიპოვე – პოლიტიკურ გემოვნებაზე თავს არ და ვერ დავდებ, პარტიების ეკონომიკური მიმართულებები მაინტერესებს. ალბათ, ამის გამოა, რომ მეტისმეტად ეკლექტური ეკონომიკური გემოვნება ჩამომიყალიბდა და ნუ დამძრახავთ, თუ ერთდროულად, რამდენიმე პარტიის პროგრამა მომწონდა, მომწონს, ან მომავალში მომეწონება. პრინციპში, მრავალპარტიულობასა და სრულად პროპორციულ არჩევნებს ამიტომაც ვუჭერ მხარს – მინდა, საქმე სხვადასხვა შეხედულების პოლიტიკოსმა აკეთოს, მთავრობაც სხვადასხვა პარტიისგან დაკომპლექტდეს – სხვა საკითხია, რამდენად გაამართლებს საქართველოში, მაგრამ ვაღიარებ, მრავალფეროვნება და ეკლექტურობა ძალიან მომწონს.

ზუსტად ასეთი მრავალფეროვანია ექსპრემიერის პროგრამის ეკონომიკური ნაწილი – ერთ კონკრეტულ ეკონომიკურ თეორიას არ ეყრდნობა, წარმატებული ქვეყნების წარმატებული ეკონომიკური რეფორმების ერთგვარი მიქსია და შეუძლებელია, რომ ჩემი ენერგეტიკის ადამიანი გულგრილი დარჩენილიყო. შესაძლოა, ზედმეტად იდეალისტი გგონივართ (არ გედავებით, თქვენი ნებაა), მაგრამ აღიარეთ და დამეთანხმეთ, რომ ეს ძალიან კარგია. თავს ვერ დავდებ, რომ გახარიაა ზუსტად ის „გმირი“, რომელსაც აქამდე, ბაზალეთის ტბის ძირში, ოქროს აკვანში ეძინა და რომლის გამოჩენასაც ორ საუკუნეზე მეტია, ელის ჩემი ქვეყანა, ვერც იმის მტკიცებას დავიწყებ, რომ დიახ, სწორედ მისი პარტიაა მესამე ძალა, მაგრამ პოლიტიკურ ბაზარზე ძალიან ძლიერი მოთამაშე გამოჩნდა.

„განვითარების სექციის ეკონომიკური ნაწილი“ – ექსპრემიერის თანაგუნდელმა, ბექა ლილუაშვილმა ასე გაგვაცნო პროგრამის სამუშაო ნაწილი, რომელიც რამდენიმე მიმართულებას მოიცავს: სამეწარმეო გარემო, საინვესტიციო პოლიტიკა, განათლების სისტემის რეფორმა, ახალი საგადასახადო პოლიტიკა, სახელმწიფო აქტივები, ბიუროკრატიის შემცირება, სტარტაპ ეკოსისტემა, მცირე ბიზნესის ადმინისტრაცია, მიზიდულობის ცენტრები და რაც მთავარია, ახალი რეგიონული პოლიტიკა.

დავიწყოთ ორნიშნა ეკონომიკური ზრდით. პროგრამის სამუშაო ვერსიის მიხედვით, გუნდის „საქართველოსთვის“ მიზანია: კერძო სექტორის განვითარებაზე დაფუძნებული სწრაფი, ორნიშნა ეკონომიკური ზრდის მიღწევა; საშუალოდ, 2-2.5-ჯერ გაზრდილი ეკონომიკა; დასაქმების უზრუნველყოფისთვის შესაბამისი პირობების შექმნა; სწრაფი ეკონომიკური ზრდის სარგებლის/შედეგების ფართო ხელმისაწვდომობა მოსახლეობისთვის; მოქალაქეების ცხოვრების დონის წრაფი დაახლოება ევროკავშირის საშუალო მაჩვენებელთან.

„სწრაფი ეკონომიკური ზრდის ძირითადი წყარო იქნება: კერძო სექტორის მიერ განხორციელებული ინვესტიციები; ბიზნესგარემოს შემდგომი გაუმჯობესება; სახელმწიფოს საკუთრების ეკონომიკურ აქტივობად ქცევა (დასაქმების უზრუნველსაყოფად); ახალი რეგიონული პოლიტიკა – მიზიდულობის ცენტრების ჩამოყალიბება; ეკონომიკური კონკურენტუნარიანობის ზრდა; განათლების რეფორმა. რაც შეეხება ახალ საინვესტიციო პოლიტიკას – 2025 წლამდე, ეს გულისხმობს 50 მილიონი ლარის ღირებულების ინვესტიციას (გარდა წინასწარ დადგენილი ეკონომიკური საქმიანობებისა) საქართველოს რეგიონებში. მნიშვნელოვანია, რომ ინვესტორი 5 წლის განმავლობაში დაიბრუნებს მის მიერ გადახდილ გადასახადებს; ინვესტიციების განხორციელების შემთხვევაში, ინვესტორი სახელმწიფოსგან მიიღებს საინვესტიციო პროექტის განხორციელებისთვის საჭირო, სახელმწიფო საკუთრებაში არსებულ აქტივებს. რაც მთავარია, ინვესტიციები და ექსპორტზე ორიენტირება, ასევე, ახალი პროდუქციის წარმოება პროგრამის ამ ნაწილის მნიშვნელოვანი მიმართულებაა“.

მაგალითად, საექსპორტო საქონლის წარმოებისთვის, ექსპორტის დაწყებიდან მომდევნო სამი წლის მანძილზე, ინვესტორი მიიღებს სუბსიდიას განხორციელებული ექსპორტის მოცულობის 5%-ის ოდენობით. კომპანია, რომელიც ითვალისწინებს ახალი პროდუქციის წარმოებას, თანაც წინასწარ დადგენილი სასაქონლო კოდების მიხედვით, პირველი რეალიზაციის განხორციელებიდან სამი წლის მანძილზე, მიიღებს სუბსიდიას რეალიზებული პროდუქციის 5%-ის ოდენობით.

ახლა ვნახოთ, რას გვთავაზობს გახარიას პარტია ქვეყანაში ინვესტორთა მოსაზიდად საჭირო რეფორმების სახით, რამაც პოსტ-პანდემიურ პერიოდში, მეწარმეებისთვის ფინანსებზე წვდომა უნდა გააუმჯობესოს. გარდა ამისა, არასაბანკო და დაფინანსების ალტერნატიული წყაროებისთვის, შესაბამისი საკანონმდებლო/ინსტიტუციური ჩარჩო უნდა შეიქმნას; სახელმწიფომ ხელი უნდა შეუწყოს მაღალტექნოლოგიურ/ენერგოეფექტურ ინვესტიციებს; უნდა შეიქმნას თანამედროვე, ეფექტიანი სამართლებრივი გარემო; ქვეყნის სუვერენული რეიტინგი უნდა გაუმჯობესდეს და საინვესტიციო რეიტინგი მიიღოს; უნდა შეიქმნას „ციფრული ინვესტორის“ პლატფორმა.

სინამდვილეში, ყველაფერი ეს ძალიან კარგია, მაგრამ პირადად მე, „ციფრული ინვესტორის“ პლატფორმამ დამაეჭვა და აგიხსნით, რატომ: მაშინ, როდესაც საქართველოს ჰყავს არაკეთილმოსურნე ჩრდილოელი მეზობელი, რუსეთის სახით, საიდანაც დიდი ოდენობით „შავი ფულის“ შემოსვლის საკმაოდ სერიოზული რისკი არსებობს, თან იმის გათვალისწინებით, რომ მტრულად განწყობილ ამ მეზობელს ჩვენი ქვეყნის ტერიტორიის 20% აქვს დაპყრობილი, რა გარანტია არსებობს, რომ „შავი“ და უკონტროლო ფული არ შემოვიდეს ქვეყანაში, იგივე, ინვესტიციების სახით? სხვათა შორის, გიორგი გახარიას თანაგუნდელებმა ამიხსნეს, რომ თავის დროზე, „ციფრული ინვესტორის“ პლატფორმა ესტონეთში დაინერგა. მეტიც, ესაა სრულიად უსაფრთხო მოდელი, რომელსაც ამ და სხვა ტიპის რისკების დაზღვევის მექანიზმიც გააჩნია. მოკლედ, უსაფრთხოება დაცულია და ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ესტონეთი ისეთს არაფერს დანერგავდა, რაც მის ქვეყანას რისკქვეშ დააყენებდა.

ამ პროგრამაში ერთ, საკმაოდ მნიშვნელოვან დეტალს მივაგენი, რაც ინვესტორების სწრაფ მხარდაჭერას ისახავს მიზნად. ვგულისხმობ „ერთი ფანჯრის პრინციპს“ – სინამდვილეში, ერთი ქოლგის ქვეშ უნდა გაერთიანდეს სახელმწიფო მხარდაჭერის ყველა პროგრამა, რაც რეალური კონსოლიდაცია იქნება, კორპორატიული მართვის სტანდარტებზე დაფუძნებულ ერთ, სპეციალურ, ფინანსურ მექანიზმში.

გარდა ამისა, მნიშვნელოვანია დასაქმებისა და ადგილობრივი წარმოების ხელშეწყობა, რასაც გახარიას გუნდი „ჯერ ქართულის“ სახით გვთავაზობს. მისი თითოეული მექანიზმი დაეფუძნება სახელმწიფოსა და ინვესტორს შორის „ჯერ ქართულის“ პრინციპს, ხოლო საინვესტიციო პროექტის განხორციელებისა და ბიზნესის ოპერირებისას, ინვესტორი აიღებს ვალდებულებას, რომ საქართველოში არსებულ-წარმოებული ადეკვატური საქონლის, მომსახურებისა თუ ადამიანური კაპიტალის არსებობის შემთხვევაში, სწორედ მათ გამოიყენებს, ან დაასაქმებს.

მნიშვნელოვანია ისიც, რომ მიმზიდველი სამეწარმეო გარემო, საქართველომ სისტემური რეფორმებით უნდა შეინარჩუნოს. ამ შემთხვევაში, გახარიას გუნდი პირდაპირი გადასახადების – საშემოსავლო და მოგების ეტაპობრივ კლებას გვთავაზობს სამი წლის მანძილზე. ეს ნიშნავს, რომ საშემოსავლო გადასახადი – 10%-მდე, მოგების გადასახადიც – 10%-მდე უნდა შემცირდეს; დღგ-ს შეღავათების არსებული არაეფექტიანი სისტემა ეტაპობრივად უნდა შემცირდეს, რაც დაახლოებით, 1.9 მილიარდი ლარის საბიუჯეტო რესურსის მობილიზებას უზრუნველყოფს; ბიზნესს უნდა დარჩეს მხოლოდ ერთი სახელმწიფო გადასახადი – გახარიას გუნდი დივიდენდისა და მოგების გადასახადებს გააერთიანებს და განაწილებული მოგების 15%-იან გადასახადად გარდაქმნის...

მიუხედავად იმისა, რომ ეს პროგრამის სამუშაო ვერსიაა, საკმაოდ ვრცელი დოკუმენტია, რომელიც ბევრ საინტერესო მიმართულებებს მოიცავს. ამ ეტაპზე, მცირეოდენი მიმოხილვით შემოვიფარგლე, რადგან ჯერ ერთი, ეს საბოლოო ვარიანტი არ გახლავთ და მეორეც, ვფიქრობ, ასე თუ ისე, ზოგადი წარმოდგენა შეგიქმენით. ვრცლად ამ პროგრამას მაშინ განვიხილავ, როდესაც ექსპრემიერის გუნდი მასზე მუშაობას დაასრულებს.

ამბავი „ამბავი ვაინი“-სა, რომელსაც ნატურალური ქვევრის ღვინო ექსპორტზე გააქვს

მაია მიშელაძე
593-51-90-12

„ვერსია“ უკვე წერდა, რომ პანდემიის მიუხედავად, ქართული ღვინის ექსპორტი საგრძნობლად გაიზარდა. 2021 წლის ოთხი თვის მონაცემებით, ღვინის ექსპორტმა 15%-ით, ექსპორტით მიღებულმა შემოსავალმა კი 7%-ით მოიმატა. 2021 წლის პირველ კვარტალში, საქართველოდან მსოფლიოს 55 ქვეყანაში, 29 მილიონამდე ბოთლი ღვინოა ექსპორტირებული, რომლის ღირებულება 65 მილიონი აშშ დოლარია... ღვინის ექსპორტის ზრდაში დიდი წვლილი მიუძღვის ქართულ კომპანიას – „ამბავი ვაინი“, რომელსაც ნატურალური, ქვევრის ღვინო ექსპორტზე, იტალიაში გააქვს. „ამბავი ვაინი“ იტალიაში მცხოვრებმა ქართველმა ემიგრანტმა, დავით დარეჯანაშვილმა საქართველოში დააფუძნა. კომპანია ერთადერთი მიზნით შეიქმნა – ნატურალური ქვევრის ღვინო, რასაც მცირე მეწარმეები აწარმოებენ და არა – მსხვილი კომპანიები, ექსპორტზე გაიტანოს, ამჯერად მხოლოდ იტალიაში, თუმცა „ვერსიასთან“ ექსკლუზიურ ინტერვიუში დავით დარეჯანაშვილი ამბობს, რომ მომავალში საექსპორტო არეალის გაფართოებას აუცილებლად გეგმავს. შესაბამისად, ნატურალურ ღვინოს ევროპის სხვა ქვეყნებშიც გაიტანს.

დავით დარეჯანაშვილი: „მთელმა მსოფლიომ უნდა გაიგოს, რომ ავთენტურია ქვევრი და არა – ანფორა!“

– ბატონო დათო, როდის დააფუძნეთ „ამბავი ვაინი“?

– ორი კომპანია გვაქვს – „ამბავი თრეველი“, რომელიც ტურიზმის განვითარებაზეა ორიენტირებული და „ამბავი ვაინი“. ორივე კომპანია საქართველოშია დაფუძნებული. „ამბავი ვაინის“ საშუალებით, ღვინო და ალკოჰოლური სასმელები იტალიაში, ექსპორტზე გაგვაქვს. აქვე იმასაც გეტყვით, რომ ამ ქვეყანაში, ბიზნესის წარმოების უფლება ოფიციალურად მაქვს, შესაბამის ლიცენზიასაც ვფლობ, რომლის საშუალებითაც ექსპორტს ვახორციელებთ.

– საექსპორტო ღვინოს თქვენ აწარმოებთ თუ სხვადასხვა კომპანიისგან ყიდულობთ?

– არა, ჩვენ არ ვაწარმოებთ. ძირითადად, ნატურალური ღვინის მცირე მარნების კონცეფციის მიმდევრები ვართ. საუბარია პატარა, მცირე მარნებზე, რომლებიც დიდ წარმოებაში არ არიან ჩართულები. ამ კონცეფციის არსი ისაა, რომ ყურძენი ყოველგვარი შხამ-ქიმიკატების გარეშე მოიყვანონ და ნატურალური ღვინო აწარმოონ. ეს არ არის გაფილტრული ღვინო ანუ გაუფილტრავი, ნატურალური ღვინო გაგვაქვს ექსპორტზე.

– „ღვინის ეროვნული სააგენტოს“ ინფორმაციით, ბოლო დროს და განსაკუთრებით პანდემიის პირობებში, ღვინის ექსპორტი საგრძნობლად გაიზარდა. როგორც ვიცი, ამაში წვლილი „ამბავი ვაინსაც“ ეკუთვნის, არა?

– დიახ, როგორც ექსპორტიორებს, ამაში ჩვენც მიგვიძღვის წვლილი. ექსპორტი იზრდება, თუ უცხოეთში ბევრი კომპანია გადის. ამასთან, ექსპორტის ზრდა სხვადასხვა ფაქტორზეცაა დამოკიდებული. მიუხედავად იმისა, რომ პანდემიის დროს, დაკეტილი იყო საქართველო და იტალიაც, რესტორნები და ღვინის მაღაზიები არ მუშაობდნენ, რის გამოც, ძირითადად, ონლაინ-რეჟიმში ვვაჭრობდით, მაინც მოვახერხეთ და ნატურალური ღვინო გავიტანეთ იტალიაში.

– ვინაიდან „ამბავი ვაინს“ ნატურალური ღვინო გააქვს ექსპორტზე და თქვენი პარტნიორები მცირე მარნები არიან, ქვევრის ღვინოც შედის თქვენს საექსპორტო პროდუქციაში?

– დავიწყებ იმით, რომ ჩვენი კონცეფციის თანახმად, ძირითადად, ქვევრის ღვინოები გაგვაქვს ექსპორტზე. ტურიზმის სფეროც ასე გვაქვს აწყობილი, რომ დაინტერესების შემთხვევაში, იტალიელი კლიენტები საქართველოში ჩამოვიდნენ და ადგილობრივი მარნები დაათვალიერონ, გაეცნონ ღვინის წარმოებას.

რაც შეეხება ქვევრის ღვინოს, იტალიასა და საფრანგეთში, მცირე და მსხვილმა მეღვინეებმაც დაიწყეს ამ კონცეფციის გამოყენება. მიუხედავად იმისა, რომ 2015 წელს, „იუნესკომ“ აღიარა, რომ ქვევრი ქართულია, ხოლო ქვევრში ღვინის დამზადება – ქართული ტექნიკაა, მაინც ბევრი ხელშემშლელი ფაქტორი არსებობს. უფრო დეტალურად რომ აგიხსნათ, აღიარება ერთი ნაბიჯია, მეორე ნაბიჯი ის გახლავთ, რომ ადგილწარმოშობის სერტიფიკატი მიენიჭა ქვევრს – ეს ნიშნავს, რომ თუ რამეს ქვევრს ვუწოდებთ, ესე იგი, მხოლოდ ქართულია.

– ანუ, ავთენტური მხოლოდ ქართული ქვევრი იქნება?

– დიახ, მაგრამ ამ საკითხს მიხედვა სჭირდება. მაგალითად, იტალიაში ქვევრის სახელს არ აწერენ, მაგრამ „ანფორას“ ღვინოს აწარმოებენ. იტალიაშიც ამზადებენ ქვევრებს, მაგრამ თავისი კონცეფციით, „ანფორა“ სულ სხვაა. საფრანგეთსა და ესპანეთშიც ამზადებენ ქვევრებს, მაგრამ არავინ უთითებს, რომ ესაა ქართული მეთოდით დამზადებული. „ანფორას“ მეთოდს უწოდებენ და არც კი ახსენებენ, რომ ქვევრის დამზადების მეთოდი ქართულია.

– მიგაჩნიათ, რომ „იუნესკოს“ მიერ ქვევრის აღიარება ერთი ნაბიჯი იყო, მაგრამ ახლა მისი ცნობადობა და პოპულარობა უნდა გაიზარდოს?

– რა თქმა უნდა! ახლა აუცილებელია, მეტი რეკლამა და მეტი მარკეტინგი. აუცილებელია, რომ ქართველმა მეღვინეებმა უფრო მაღალხარისხიანი ღვინო აწარმოონ. სხვადასხვა ტიპის რეკლამაზე ვსაუბრობ, უფრო ზუსტად, მთელმა მსოფლიომ უნდა გაიგოს, რომ ავთენტურია ქვევრი და არა – „ანფორა“. რატომაც არა? დასახელებაც კი საქართველოდან შევიდეს! ჩვენ ფრანგულიდან ძალიან ბევრი სახელი და ტერმინი გვაქვს შემოტანილი ღვინის წარმოებაში. რატომ არ შეიძლება, რომ ტერმინი „ქვევრი“ საქართველოდან შევიტანოთ ევროპაში? ამას დიდი მუშაობა სჭირდება, მაგრამ აუცილებლად გასაკეთებელია. კერძო კომპანიების გარდა, ამაში სახელმწიფოც უნდა ჩაერთოს, მხოლოდ „იუნესკოს“ აღიარებით წინ ვერ წავალთ.

– ბატონო დათო, ტურისტების მოსაზიდად, რომლებმაც მცირე მარნები უნდა დაათვალიერონ, რა უნდა გააკეთონ მეღვინეებმა, უფრო ზუსტად, როგორ უნდა მოაწყონ ინფრასტრუქტურა? სოფლის განსავითარებლად, მხოლოდ ღვინის წარმოება საკმარისი არაა, სოფლის მეურნეობის კიდევ რა დარგები შეიძლება მიებას ღვინის წარმოებას?

– როდესაც ტურიზმი ვითარდებოდა, ძალიან ბევრი სადეგუსტაციო ადგილი შექმნეს, როგორც დიდმა კომპანიებმა, ასევე, მცირე მარნებმა. მაგალითად, ჩვენ შევქმენით მცირე სოფლის სახლი, სადაც არა მარტო ღვინოსთან აქვთ კავშირი დამთვალიერებლებს, არამედ, ქართულ თვითმყოფადობასთანაც. ადგილზე მივლენ და როგორც ქართული ოჯახი ცხოვრობს, ისე იცხოვრებენ ამ მცირე სოფლის სახლში – ღვინოსაც თვითონ გააკეთებენ და დააგემოვნებენ და ჭაჭასაც. ჩვენი აქტივობები მთლიანად მოიცავს ყურძნის მოყვანის, ღვინისა და ჭაჭის დაყენების ტექნოლოგიებს.

გარდა ამისა, მცირე ტიპის მარნების განვითარება უმთავრესი პრიორიტეტი უნდა იყოს. ჩვენი, ქართული ღვინის უნიკალურობა იმაში მდგომარეობს, რომ ბევრი ამზადებს ღვინოს სახლისთვის, სტუმრებისთვის, ყოველდღიური მოხმარების მიზნით. მაგალითად, ფრანგები მხოლოდ გასაყიდად ამზადებენ ღვინოს, თუ ბოთლში არ ასხამენ, ღვინოს ისე არ ინახავენ. ჩვენ პირიქით – სახლში, ყოველდღიურად გასამოყენებლადაც ვამზადებთ ღვინოს, ამიტომ ამის პოპულარიზაცია აუცილებელია.

აქედან გამომდინარე, მცირე მარნების განვითარება აუცილებელია, რათა საქართველოში ჩამოსულ უცხოელ ტურისტებს უკეთესად გააცნონ ეს კულტურა. ზოგადად, დიდ კომპანიებს ბევრი ფული აქვთ, შესაბამისად, მეტი საშუალება აქვთ, სადეგუსტაციო ადგილები ბევრად უკეთესად მოაწყონ, თუმცა თვითმყოფადი კულტურა, სწორედ მცირე მარნებიდან და პატარა ოჯახებიდან მოდის. ვფიქრობ, აქცენტი ამ მიმართულებით უნდა გაკეთდეს. სამომავლოდ, სწორედ ეს მცირე მეწარმეები იქნებიან უკეთესი ელჩები.

– იტალიაში როგორ არის ეს პროცესი განვითარებული, რა შეიძლება მათგან გადმოვიღოთ?

– თუნდაც ის, რომ კონსორციუმები და კოოპერატივები ისე განვავითაროთ, როგორც იტალიაშია. მაგალითად, არიან მცირე მარნები, რომლებსაც 1-2 ჰა ვენახი აქვთ მხოლოდ, ჩვენთანაც ბევრნი არიან ასეთები. იტალიაში, ასეთი მცირემიწიანი მეწარმეები ქმნიან ერთგვარ გაერთიანებას, სადაც აერთიანებენ საკუთარ კაპიტალს და პირობითად, თუ ერთი და იგივე სახის ღვინოს ამზადებენ, ერთი სახელით ასხამენ. გარდა ამისა, ქირაობენ მენეჯერს, მმართველ გუნდს, რომლებიც ახორციელებენ მარკეტინგს და ამ პროდუქციის რეკლამირებაზეც მუშაობენ. ჩვენთან ეს ვერ ხერხდება, დაშლილ-დაქუცმაცებულები არიან.

გარდა ამისა, მეღვინეებს არ აქვთ ფინანსები, რათა მარნისთვის საჭირო მოწყობილობები შეიძინონ. დღეს ისე ვითარდება ტექნოლოგია, რომ მხოლოდ ქვევრი საკმარისი არ არის, საჭიროა სხვადასხვა სახის ჭურჭელი, ყურძნის საწური და ბოთლში ჩამოსასხმელი მანქანები. თანამედროვე ტექნოლოგიების საშუალებით, შესაძლებელია, რომ რთველი მთლიანად კი არა, ნაწილობრივ დაიგეგმოს. ამ ტექნოლოგიების საშუალებით, მეწარმე გაიგებს, ვენახის რომელი რიგია უფრო მეტად დამწიფებული, რომელი უნდა მოიკრიფოს იმ მომენტში და რომელს უნდა დაელოდონ 2-3 დღე, ან ერთი კვირა.

თუ ეს ყველაფერი არ ექნება მცირე მარანს, მაღალხარისხიან, ძვირადღირებულ ღვინოს ვერ დაამზადებენ. თავის მხრივ, თუ ძვირადღირებულ ღვინოს ვერ დააყენებენ, მსოფლიო ბაზარზე ეს ნიშა დაიკარგება, რადგან ხარისხიან ღვინოებს კონკურენციას ვერ გაუწევენ.

სამართალი

№21 23 ივნისი 2021 წ

რეციდივისტი, რომელმაც მინისტრის შვილს შეყვარებული „დააწერა“

ნაციხარი კაცის გამდიდრების დაუჯერებელი ამბავი

ბათო ჯაფარიძე

ბლეფი, აფერა – ეს ის სიტყვებია, რომელიც საბჭოთა კავშირის დროს იშვიათად, მაგრამ მაინც ისმოდა. მაშინ ადამიანები ერთმანეთს მარტივად ენდობოდნენ, ვერ წარმოედგინათ, რომ ვილაცას, შესაძლოა, ტყუილი ეთქვა და ამ ტყუილით ეხეირა. რეალურად, აფერისტები და გადამგდებები მაშინაც იყვნენ, მაგრამ ძალიან ცოტა და რაც მთავარია, ამ ცოტას გადაგდება ხელოვნების დონეზე ჰქონდა აყვანილი. სხვათა შორის, „გადაგდებისთვის“ სასჯელი მსუბუქი იყო და შესაბამისად, „გადამგდებებს“ დანაშაულის ჩადენის არ ეშინოდათ.

„ზემელზე ერთი, გამორჩეული სილამაზის გოგო ცხოვრობდა, ნახევარი თბილისი ხმამაღლა ეტრფოდა, მეორე ნახევარი კი – ფარულად. გოგო ერთი მინისტრის შვილს ხვდებოდა, მთელმა ქალაქმა იცოდა, ის ბიჭი იარაღით დადიოდა, თავს უარს არაფერზე ეუბნებოდა, მაგრამ რადგან იარაღს თითქმის არასდროს აჩენდა და არ თავხედობდა, მილიციაც თვალს ხუჭავდა. ერთ დღეს, გოგონას შინ აცილებდა, წინ სამი ბიჭი გადაუდგა, აქაოდა, ორივემ ქურთუკები გაიხადეთო. მინისტრის შვილმა იარაღი ამოიღო, თუმცა თავდამსხმელებიდან ერთ-ერთმა, მას პატარა წრუწუნა მიაგდო და ამ იარაღიან ვაჟკაცს გული წაუვიდა. სამაგიეროდ, ვილაც ახალგაზრდა ბიჭი გამოჩნდა, მძარცველებს არ შეუშინდა, დანითაც კი გაკაწრეს, მაგრამ გოგონა იხსნა და თავადაც გადარჩა. წლების მერე, ჩვენც მივხვდით და ის ქალიც, რომ ყველაფერი, სწორედ ამ მხსნელის მოწყობილი იყო. მან ისიც იცოდა, რომ მინისტრის შვილს პანიკურად ეშინოდა თაგვების და თაგვიც ამიტომ გამოიყენა. სამაგიეროდ, მისი მამაცობით აღფრთოვანებულმა გოგომ მეგობრობა მასთან გააგრძელა და ცოტა ხანში ცოლადაც გაჰყვა“, – გვიყვება მორიგ ისტორიას პოლიციის გადამდგარი პოლკოვნიკი, ბატონი თენგიზი.

გათხოვებიდან ცოტა ხანში, გოგონამ მუშაობა აეროპორტში, ერთ-ერთ ხელმძღვანელ თანამდებობაზე დაიწყო. მაშინ ეს მის გარემოცვას ძალიან გაუკვირდა, მილიცია და უშიშროება კი, რაღა თქმა უნდა, ასეთ ამბებს ნაკლებ ყურადღებას აქცევდა – ვინ, სად და რატომ დაინიშნებოდა, მათი საქმე არ იყო, თუმცა ძლევამოსილი „კა-გე-ბე“ გოგონათი აეროპორტის ხელმძღვანელის ვიზიტის შემდეგ დაინტერესდა.

„მაშინ ახალგაზრდა ვიყავი, ადრეც ვთქვი, თავიდან მუშაობა უშიშროებაში დავიწყე-მეთქი. ჰოდა, როგორც წვრილმანი საქმე, ახალბედას მანდეს. მოკლედ, ექვსი თვის წინ, აეროპორტის დირექტორისთვის ვილაცას დაურეკავს, უშიშროებიდან ვარ, ჩვენი კადრი უნდა მიიღო ამა და ამ თანამდებობაზე, ყველა პირობა უნდა შეუქმნა, საქმეს სჭირდებაო. მეორე დღეს, ეს ახალი კადრი – ახალგაზრდა გოგო, მართლაც გამოცხადდა და მუშაობაც დაიწყო. მის ადგილზე ვინც მუშაობდა, ახსნა-განმარტების გარეშე გაუშვეს. ჰოდა, ახლა დირექტორს რაღაც დასჭირდა, ამ „უშიშროების თანამშრომელს“ უთხრა და გოგონამ პირი დააღო, რა უშიშროება, პირველად მესმის, მუშაობა ქმარმა დამაწყებინაო. „კა-გე-ბე“-ს ხსენება ასე მარტივი არ იყო, ამიტომ გოგოც დავაკავეთ, ქმარიც და აეროპორტის დირექტორიც ჩვენთან დავტოვეთ. ეს სწორედ ის წყვილი იყო, მინისტრის შვილი პირში ჩალაგამოვლებული რომ დატოვა. საქმე დაიწყო, დასრულდა, გოგონა უმუშევარი დარჩა, მისი ქმარი კი ერთი წლით ჩასვეს“, – გვიყვება ბატონი თენგიზი.

იმ ლამაზი გოგოს სასახელოდ უნდა ითქვას, რომ ქმარს დაელოდა და ერთი წლის შემდეგ, ციხიდან გამოსულს, კართან დახვდა. კაცი სიხარულით ცას ეწია, მეორე დილით შინ დარჩენილი ძვირფასეულობა მოხვეტა, გაყიდა, ახალი ტანსაცმელი შეიძინა და სახლიდან გავიდა.

„ესეც მერე გავიგეთ. ციხეში ყოფნის დროს, მან ზუსტად გაარკვია ოქროსა და მოპარული ნივთების რეალიზატორები, დაამზადა მილიციის თანამშრომლის ყალბი მოწმობა და მათი ჩამოვლა დაიწყო. სანთლისგან გამოძერწილი მაკაროვის პისტოლეტით აშინებდა, ეუბნებოდა, უნდა დაგიჭიროთო, ბოლოს კი, თანხმდებოდნენ და თითოს, 7-დან 10 ათას მანეთამდე სძალავდა“, – სიცილით გვიყვება ბატონი თენგიზი.

ერთ-ერთი გადამყიდველი არათუ უშიშროებასთან მეგობრობდა, არამედ, მისი ფარული აგენტიც იყო. სწორედ ის მოუყვა უშიშროებას უცნაური მილიციელის შესახებ და, რაღა თქმა უნდა, „კა-გე-ბე“ დაინტერესდა. გაჩნდა იმის შანსი, რომ მილიციის თანამშრომელი ქრთამის აღების ფაქტზე დაეკავებინათ. სპეცოპერაცია ჩატარდა და ძალოვნებს ხელში ისევ ეს აფერისტი შერჩათ. ამჯერად, მას 3 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯეს და კონტროლზეც აიყვანეს. გოგო ისევ დაელოდა, მაგრამ იქიდან გამოსულს, გასაგებად უთხრა, რომ კიდევ ერთ სასჯელს ვეღარ აიტანდა და ამიტომ, ქმარს ოფიციალური სამსახურის დაწყება მოსთხოვა. ის, მართლაც, მოეწყო ერთ-ერთ საამქროში ოსტატის თანაშემწედ, სამსახურში სიარულიც დაიწყო და უშიშროებამაც მისი კონტროლი შეწყვიტა, თუმცა...

ერთი წლის შემდეგ, უშიშროება ისევ შეაწუხეს. ვილაც კაცი სამსახურებში დადიოდა, თავს უშიშროების წარმომადგენლად აცნობდა და ხალხს სოლიდურ თანამდებობებზე ასაქმებდა. მივიდოდა დირექტორთან, უჩვენებდა უშიშროების თანამშრომლის საბუთს და ეუბნებოდა, რომ მეორე დღიდან, კონკრეტულ ადგილზე მუშაობა სხვას უნდა დაეწყო, ძველი თანამშრომელი კი უნდა გაეთავისუფლებინათ. უარს ვერავინ ამბობდა და სამაგიეროდ, ეს კაცი დასაქმებულისგან მსუყე ლუკმას იღებდა. ყველაფერი მას შემდეგ აირია, რაც ის გენერალურ პროკურატურაში მივიდა და ერთ-ერთი რაიონის პროკურორის დანიშვნა მოითხოვა. ძველი პროკურორი მართლაც გაუშვეს, ახალი დანიშნეს და ორი კვირის შემდეგ, გათავისუფლებულმა თავის მეგობარს მიაკითხა, რას მერჩოდით, ახლა მაინც ამიხსენითო. „კა-გე-ბე“-მ კვლევა დაიწყო და ისევ ამ აფერისტის კვალზე გავიდა.

„რომ არა სიხარბე, შეიძლება, ვერც დაგვეჭირა, მაგრამ პროკურორის ადგილისთვის მას 20 ათასი მანეთი შესთავაზეს და ეს მაშინ, როცა ქარხნებში, რომელიმე საამქროს უფროსად დანიშვნაში 2-3 ათასს იღებდა. მსუყე შეთავაზებაზე ვერ თქვა უარი. დაკავებულს რეციდივისტის სტატუსიც მიარტყეს, გენერალურმა პროკურატურამ მაქსიმუმი გააკეთა, რომ სასამართლო შეუბრალებელი ყოფილიყო და დაკავებულს 12 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯეს“, – იხსენებს ბატონი თენგიზი.

კაცმა ციხეში გაიგო, რომ მისი ლამაზი ცოლი გათხოვდა და ცოლად ქვრივ გენერალს გაჰყვა. ციხიდან წერილს წერილზე სწერდა ხან საქართველოს უშიშროების მინისტრს, ხანაც – საბჭოთა კავშირის უშიშროების შეფს, ეგ გენერალი ჯაშუშია, უცხო ქვეყნისთვის მუშაობსო. მოსკოვიდან მითითება მოვიდა, წერილის ადრესატი შეემოწმებინათ და გენერალი მართლაც შეამოწმეს, თუმცა რაღა თქმა უნდა, ზედაპირულად, სიმართლე ხომ ქართველმა ძალოვნებმა ძალიან კარგად იცოდნენ. ცილისწამების გამო, დაკავებულს კიდევ 3 წელი ციხე დაუმატეს და, საერთო ჯამში, 15 წელი გამოუვიდა, რომელიც სრულად მოიხადა.

ამასობაში, გენერალი გარდაიცვალა და ციხიდან გამოსულ აფერისტს კართან... ყოფილი ცოლი დახვდა. პრინციპში, რაღა ყოფილი, დახვედრა იმას ნიშნავდა, რომ ქალი წინააღმდეგი არ იყო, ისევ მასთან ეცხოვრა.

„როცა საბჭოთა კავშირი დაინგრა და საზღვრები გაიხსნა, ეს კაცი, ცოლთან ერთად, ერთ-ერთი პირველი იყო, რომელმაც ქვეყნის დატოვება გადაწყვიტა და საცხოვრებლად ისრაელში გაემგზავრა. მაშინ 70 წელს იყო მიტანებული და დარწმუნებული ვიყავი, რომ ამ ასაკში ვეღარაფერს გააფუჭებდა. გაფუჭების რა გითხრა, მაგრამ ისრაელში საგამომცემლო საქმიანობას მიჰყო ხელი და როგორც ამბობენ, დიდი ფულიც იშოვა. ისიც თქვეს, იმ გენერალს სახლში რამდენიმე ისეთი ნივთი ჰქონდა, რომლის გაყიდვის შემდეგაც მთელი ცხოვრება უზრუნველად ყოფნას ისედაც შეძლებოდაო და ვინ იცის, ეგებ, ამ გენერალზე ცოლის გათხოვებაც მისი აფერის ერთ-ერთი სცენა იყო“, – დაასრულა მოყოლა ბატონმა თენგიზმა.

თენგო „ფოთინსკის“ საქმე

რატომ ითხოვს რუსეთის პროკურატურა ქართველი „კანონიერი ქურდის“ ციხეში 15 წლით დატოვებას

ფოთელი ე.წ. კანონიერი ქურდი თენგიზ გიგიბერია (იგივე, თენგო ფოთინსკი) სასჯელს რუსეთის ფედერაციაში, 2005 წლიდან იხდის. მას 15-წლიანი „სროკი“ ჰქონდა და იმის გამო, რომ ბრალი, ქურდობის გარდა, მკვლელობაშიც დასდეს, ვადაზე ადრე გათავისუფლება არც კი განიხილებოდა. ახლა კი, როცა თენგომ სასჯელი სრულად მოიხადა და უნდა გათავისუფლებულიყო, პროკურატურა ახალი შუამდგომლობით შევიდა და მისთვის მორიგი 15-წლიანი სასჯელის შეფარდება მოითხოვა.

„გიგიბერია კრიმინალური სამყაროს უმაღლეს საფეხურზე დგას ანუ ე.წ. კანონიერი ქურდია. რუსეთის ფედერაციის ახალი კანონის შესაბამისად კი, ეს წოდება დასჯადია და ამიტომ, მისთვის მორიგი, 15-წლიანი სასჯელის შეფარდებას ვითხოვთ“, – ასეთი გახლდათ პროკურატურის შუამდგომლობა.

სასამართლომ პროკურატურის შუამდგომლობა არ დაკმაყოფილა და სასჯელმოხდილი გიგიბერია დარბაზიდან გაათავისუფლა, თუმცა პროკურატურა დანებებას არ აპირებს და განაჩენი გაასაჩივრა.

„იმის მიუხედავად, რომ გიგიბერიას რუსეთში ცხოვრების უფლება არ აქვს და დეპორტს ექვემდებარება, ჯერჯერობით, მას აკრძალული აქვს ქვეყნის დატოვება. გვჯერა, სააპელაციო სასამართლო ჩვენს შუამდგომლობას დააკმაყოფილებს და მას კვლავ ციხეში შევაბრუნებთ, თუ არადა, დეპორტს გავუკეთებთ“, – ნათქვამია პროკურატურის განცხადებაში.

როგორც რუსული მედია წერს, გიგიბერიას ხელს არავინ ადებს, რომ ის ე.წ. კანონიერი ქურდია. თავისუფლებაზე ასეთი ადამიანის მოძებნა შეუძლებელია, რადგან ის 15 წელი სასჯელს იხდიდა, პატიმრებიდან კი ამის გაკეთებას ვერავინ ბედავს. რაც შეეხება ციხის ადმინისტრაციას, მისი ჩვენება, როგორც დაინტერესებული მხარისა, მხედველობაში არ მიიღება.

ბათო ჯაფარიძე

ვინ არის მამაკაცი, რომელიც 6 წლის შვილთან ერთად გაუჩინარდა

„ეშმაკმა შემაცდინა... მანქანიდან ნაჯახი ამოვიღე და დავარტყი“ – ტაქსის მძღოლის სკანდალური აღიარება

ბათო ჯაფარიძე

საყოველთაო უმუშევრობის ფონზე, სიტყვა შვებულება ისე არ ჟღერს, როგორც ადრე. ადრე, როცა მოსახლეობის 99.99% დასაქმებული იყო. მართალია, დასვენება მხოლოდ საქართველოში, საუკეთესო შემთხვევაში, საბჭოთა კავშირის რესპუბლიკებში შეიძლებოდა, მაგრამ მარტივად შეგეძლო „ამქვეყნიურ სამოთხეში“ – აფხაზეთში წასვლა და თუ სასტუმროს ნომერს ვერ იშოვიდი, ბინის ქირაობის პრობლემაც არ იყო. აფხაზეთი არა მარტო ქართველებისთვის, არამედ, 15-ვე რესპუბლიკის ყველა მაცხოვრებლისთვის სანუკვარი, სასურველი და საოცნებო მხარე გახლდათ.

„განყოფილების უფროსად ახალი დანიშნული ვიყავი, მკვლელობებს ვიძიებდი და თავის მოსაფხანი დრო არ მქონდა. ამ დროს ორსულმა ქალმა ითხოვა ჩემთან შეხვედრა. უარს როგორ ვეტყოდი და ატირებულმა მითხრა, ჩემი ქმარი დაიკარგა შვილთან ერთად, ეგებ, მიშველოო. როგორც მომიყვა, ქმარი ორი კვირით სოხუმში წავიდა და 6 წლის შვილი წაიყოლა, მაგრამ არც დაურეკავს, არც დეპეშა გამოუგზავნია და ქალიც ნერვიულობდა. შეძლებისდაგვარად დავამშვიდე, აფხაზეთში, გაგანია ზაფხულში, უცოლოდ წასულ კაცს, შეიძლება, დარეკვა და დეპეშა კი არა, საკუთარი თავი დააავიწყდეს, მაგრამ ქალი ჯიუტობდა, ჩვენი შვილი დაბადებიდან ბრმაა და ერთი წუთითაც ვერ დატოვებდაო. განცხადება დავაწერინე, მაგრამ სხვა განყოფილებაში, რადგან არც მკვლელობის ფაქტი მქონდა და არც – საფუძველი, ამაზე ვარაუდი გამომეთქვა და ქალი დამშვიდებული გავუშვი“, – იხსენებს მორიგ ისტორიას პოლიციის გადამდგარი პოლკოვნიკი, ბატონი თენგიზი.

ამ ამბიდან ორ დღეში, ქალმა ტელეფონით დარეკა და განწირული ხმით კიოდა, ჩემი ქმრის კვალს მივაგენი, მოკლესო. როგორც გაირკვა, ქალმა გარისკა და სოხუმში წავიდა, მიაკითხა მეუღლის ბავშვობის მეგობარს, რომელმაც უთხრა, შენი ქმარი, შვილთან ერთად აქ იყო, მაგრამ მეორე დღეს წავიდა და არ ვიცი, სად დაბინავდაო. ქალმა ამ დროს ოთახის კუთხეში მდგარ ჩემოდანს მოჰკრა თვალი, იცნო ქმრის ნივთები და ბინიდან ტყვიასავით გავარდა. სანამ თბილისიდან აფხაზეთში ოპერატიული ჯგუფი ჩავიდოდა, ადგილზე იქაური მილიცია მივიდა. შემთხვევა განსაკუთრებული იყო, რადგან საქმე არასრულწლოვანს ეხებოდა. სამართალდამცავების მისვლის შემდეგ, მამაკაცმა სიმართლე თქვა.

„ბავშვობის მეგობარი მართლა მეწვია, შვილიც ახლდა. მითხრა, ვიღაც რუსი ქალი გავიცანი, ერთი დღე ბავშვს დაგიტოვებ და მერე წავიყვანო. ბავშვი, მართლაც, ჩემთან იყო, მეორე დღეს მოვიდა, ბედნიერი და გაბრწყინებული, ბავშვს ხელი მოჰკიდა, ახალ ბინას ვნახავ და გადავბარგდებიო. წავიდა და წავიდა. ვიფიქრე, რომ იმ ქალთან იყო, ბავშვი მაინც ვერაფერს ხედავს და ამიტომ ცოლს არაფერი ვუთხარი“, – განაცხადა მეგობარმა.

სამართალდამცავებს წარმოდგენა არ ჰქონდათ, სად უნდა ეძებნათ ან ის რუსი ქალი, ან მამა-შვილი, რადგან სასტუმროში არ იყვნენ გაჩერებულნი. მამა-შვილზე საკავშირო ძებნა გამოცხადდა და მეორე დილით, ერთ-ერთი საავადმყოფოდან დარეკეს – უცნობებმა საავადმყოფოს შენობის წინ ავტომანქანა გააჩერეს, იქიდან ბავშვი გადმოსვეს და მიიმალნენ. ეს ორი დღის წინ მოხდა, ბავშვი უგონო მდგომარეობაში გახლდათ, აზრზე მხოლოდ ახლა მოვიდა და ექიმებმა დაადგინეს, რომ ის ბრმა იყო. ბავშვის სიცოცხლეს საფრთხე არ ემუქრებოდა და ეს ყველაზე მთავარი გახლდათ. მის დაკითხვას ბევრი რამისთვის უნდა მოეფინა ნათელი.

„მამამ მეგობართან მიმიყვანა, თვითონ ბინის მოსაძებნად წავიდა. მეორე დღეს მოვიდა, ბინა ვერ ვიპოვე, ერთად დავიძინოთო... მერე ბევრი ვიარეთ, მამამ მაინც ვერ შეარჩია ბინა. ბოლოს მძღოლს უთხრა, სადმე რამე ვიყიდოთ და ბუნებაში ვჭამოთო. ძეხვი, ყველი, პური და ლიმონათი იყიდა. სადღაც მინდორში გავედით, ან ტყეში, ჭამა დავიწყეთ. მერე მამა და ის კაცი რაღაცაზე შეკამათდნენ, მერე ყვირილი დაიწყეს, მერე გავიგონე იმ კაცმა მანქანის კარი რომ გააღო, მამამ უყვირა, არ ქნაო, მერე ყრუ დარტყმის ხმა და მამა დაეცა. იმ კაცმა ხელი მომკიდა, წამომაყენა, მერე ისევ დამსვა, მანქანა დაქოქა და წავიდა. ხელებით მამა მოვძებნე, თავის მხარეს სველი ჰქონდა, ალბათ, სისხლი მოსდიოდა. შემეშინდა და გავიქეცი. არ ვიცი, რამდენ ხანს გავრბოდი, ან სად გავრბოდი. მერე, უკან მინდოდა დაბრუნება და გზა ვერ ვიპოვე. მერე, ხეზე ავედი და დავიყვირე, მაგრამ არავინ გამაგონა. ასე დავდიოდი, არ ვიცი, რამდენ ხანს, შეიძლება, დაღამდა და გათენდა. მერე, მანქანის ხმა გავიგონე და მისი მიმართულებით გავიქეცი, მერე აღარ მახსოვს... აზრზე საავადმყოფოში მოვედი“, – ასეთი იყო ბავშვის მონაყოლი.

სამართალდამცავებმა უიმედოდ ჩამოუშვეს ხელები. ბავშვი ვერ აღწერდა ვერც ტაქსის მძღოლს, ვერც – ადგილს, ვერც – მარშრუტს და ვერც იმას, ვინ დაეჯახა და ვინ დატოვა საავადმყოფოსთან, თუმცა გამოჩნდა ადამიანი, რომელმაც თქვა, რომ ავტომობილი, საიდანაც ბავშვი ჩამოსვეს, ყვითელი „ნივა“ იყო, რომელშიც ორი ქალი და ორი მამაკაცი ისხდნენ.

„ნივა“ არ გახლდათ ისეთი მანქანა, აფხაზეთში ყველას რომ ჰყოლოდა – იქ უფრო კომფორტულ ავტოებს ანიჭებდნენ უპირატესობას. მით უმეტეს, ფერიც იშვიათი იყო. ამიტომ, სასწრაფო წესით დაიწყეს ყველა ყვითელი „ნივის“ გადამოწმება და დამნაშავეებსაც მალე მიაგნეს. გარდა იმისა, რომ მათ ავტოავარიის დამალვას ედავებოდნენ, უფრო მეტად ის აინტერესებდათ, სად ნახეს ბავშვი. დაკავებულებმა ყველაფერი დეტალებში გაიხსენეს. მილიციას აჩვენეს ადგილიც და ისიც თქვეს, რომ ბავშვი გზაზე მოულოდნელად შემოუხტათ და დამუხრუჭება ვერ მოასწრეს, მერე შეეშინდათ, პატარა საავადმყოფოს ეზოში დააგდეს და მიიმალნენ.

მითითებულ ადგილზე სამძებრო სამუშაოები ჩატარდა, თუმცა ვერაფერს მიაგნეს. გადაწყდა, ვერტმფრენი გამოეყენებინათ და ტერიტორია უფრო მასშტაბურად დაეთვალიერებინათ. როგორც მერე გაირკვა, ბავშვი იმ ადგილიდან, სადაც მამამისს თავში რაღაც ჩაარტყეს, შორს არ წასულა, პრაქტიკულად, 500-მეტრიან რადიუსზე, წრეზე დადიოდა. ნახეს ნარჩენებიც და მართალია, ძეხვი და პური შეჭმული იყო, მაგრამ ქაღალდები მინდორში ეყარა. სამაგიეროდ, არსად იყო გვამი, მაგრამ იქვე ტრანსფორმატორის ჯიხური იდგა და... შიგნით ვიღაც რუსი ცხოვრობდა.

„ის რუსი პირადად დავკითხე, ჩვეულებრივი ლოთი იყო, ამიტომ ორ ლიტრ ჭაჭას დავპირდი და დეტალურად გაიხსენა, როგორ შეხვდა მომხდარის დღეს დიდი სიჩქარით მიმავალი „ვოლგა“, რომელსაც ტაქსის ნიშანი ჰქონდა. ჩემდა საბედნიეროდ, ტაქსის მძღოლი იცნო და მისი ვინაობაც დაასახელა. ტაქსისტი ნახევარ საათში წინ მეჯდა“, – გვიყვება ბატონი თენგიზი.

ტაქსის მძღოლმა ყველაფერი უარყო, მაგრამ ამ დროს საქმეში დაკარგული კაცის ცოლი ჩაერთო. მან აღნიშნა, რომ მის შვილს უნიკალური თვისება ჰქონდა – საკმარისი იყო, ბრმა ბავშვს ვინმე კანზე შეხებოდა და მეორე შეხებისას, კანის ტემპერატურით სცნობდა. უფრო კონკრეტულად, ბავშვი ამბობდა, რომ ყველა ადამიანს განსხვავებული ტემპერატურა, კანის განსხვავებული ზედაპირი და სუნი აქვს და ამიტომ, შეუცდომლად შეუძლია გამოიცნოს, ვინ შეეხო. მილიციას ყველაფერ ამის დაჯერება გაუჭირდა, მაგრამ ექსპერიმენტი ჩაატარეს. ხუთი თანამშრომელი დანომრეს და ისინი რიგ-რიგობით შეეხნენ ბავშვს. ნახევარი საათის შემდეგ, სამართალდამცავები კვლავ შეეხნენ ბავშვს და პატარამ ყველა მათგანი ამოიცნო. სამართალდამცავებს მომხდარის დაჯერება გაუჭირდათ, ამიტომ ორი სხვა თანამშრომელი ისევ შეეხო ბავშვს, მეორე დღეს კი ახალი ექსპერიმენტი ჩაატარეს – 24 საათის გასვლის შემდეგ, ისინი ოცი ადამიანის რიგში ჩააყენეს და ბავშვმა ყველას ჩამოუარა. ის ორი მარტივად იპოვა. შედეგად, მილიციის ისტორიაში უპრეცედენტო ამოცნობის პროცედურა ჩაინიშნა – ბრმა ბავშვს ტაქსის მძღოლი უნდა ამოეცნო, ის ხომ შეეხო, როცა წამოაყენა და მერე ისევ მიწაზე დააგდო. ტაქსის მძღოლი ხუთ კაცში ჩააყენეს და შეხებისთანავე, ბავშვმა ხელი დაადო. დამალვას აზრი აღარ ჰქონდა და ტაქსის მძღოლიც ალაპარაკდა.

„ეშმაკმა შემაცდინა. არაფერი მქონდა განსაზღვრული, მაგრამ როცა იმ კაცმა საჭმელი იყიდა, დავინახე, რომ ბევრი ფული ჰქონდა. მერე უაზრობაზე წავკამათდით, მანქანიდან ნაჯახი ამოვიღე და ბრტყელი მხრიდან დავარტყი. მე არ მომიკლავს, ის დარტყმა, უბრალოდ, გათიშავდა“, – თავს იგიჟებდა მძღოლი და მილიციას ის ადგილიც დაათვალიერებინა, სადაც თავდასხმა მოხდა.

ახლოს მდებარე სოფელში ცოტა ხალხი ცხოვრობდა. ადგილობრივები, ძირითადად, ქალაქში სახლობდნენ, სოფლის სახლს კი სეზონზე, დამსვენებლებზე აქირავებდნენ. სოფლის მუდმივი მაცხოვრებელი, უბნის რწმუნებულის ცნობით, ერთი მოხუცი ქალი იყო, რომელიც ადრე ფსიქიატრიულშიც მკურნალობდა და ადგილობრივები კუდიანს ეძახდნენ. მისი დაკითხვა გადაწყდა, მაგრამ როგორც კი ქალმა სამართალდამცავები დაინახა, მაშინვე შინ შეუძღვა და ამაყად უთხრა, მე გადავარჩინე ეს კაცი და დამიტოვეთ, ბოლომდე ფეხზე რომ დავაყენოო. პირდაპირ იატაკზე გაფენილ ძველ ლეიბზე, დაკარგული კაცის ლამის უსიცოცხლო სხეული ესვენა, გვერდით კი რაღაც ნახარშებით სავსე ქილები იდგა. მამაკაცი სასწრაფო დახმარების მანქანამ საავადმყოფოში გადაიყვანა. ექიმებმა, როგორც წესი, სახალხო მკურნალობის ნაცვლად, ჩვეულებრივი მედიცინა ამჯობინეს და კაცი ფეხზე მალე წამოაყენეს.

„არ ვიცი, უგონოდ რამდენ ხანს ვეგდე. მერე აზრზე მოვედი, ცოტა გავიარე, თან შვილს ვეძებდი, თან პერიოდულად ვეცემოდი. ბოლოს, ამ ქალის სახლში გამეღვიძა, სიარული აღარ შემეძლო“, – განაცხადა კაცმა.

საბოლოო ჯამში, იმ მძღოლს, რომელიც ბავშვს დაეჯახა, 3 წელი მისცეს, დანაშაულის დამალვისთვის, თანამგზავრებს 2-2 წელი ერგოთ, მამაკაცზე თავდამსხმელი ტაქსის მძღოლის ქმედება კი ყაჩაღობად შეაფასეს და ციხეში 7 წლით გაისტუმრეს.

შუახნის ქალმა საყვარლის საცოლე მოკლა

წავკისის ტყის კოშმარი და მკვლელობა თმის სამაგრით

ბათო ჯაფარიძე

ქართული მხატვრული ფილმი „რაც გინახავს, ველარ ნახავ“ კომედიური ჟანრისაა და ფილმის ფრაზებსაც დღემდე აქტიურად იყენებენ, განსაკუთრებით უფროსი თაობის ხალხი. ფრაზა – დაუკარით, უპატარძლო ქორწილია, ახლაც გაისმის ხოლმე. ფილმში უპატარძლო ქორწილი სასაცილოდ კი ჩანს, მაგრამ ცხოვრებაში, ეს ნამდვილი ტრაგედიაა. ასე მოხდა ერთ არცთუ მშვენიერ დღეს, როცა ხელმოწერის ცერემონიის შემდეგ... პატარძალი ქორწინების სახლის ეზოდან, უბრალოდ, გაიქცა.

„განყოფილებაში შეტყობინება შემოვიდა, რომ წავკისის მხარეს, ტყეში, საპატარძლო კაბაში გამოწყობილი გოგონას ცხედაპი იპოვეს. მას საძილე არტერიასთან ნაჩხვლეტი ჭრილობა ეტყობოდა, გაკვეთის შემდეგ კი ექსპერტებმა ჭრილობიდან წვეტიანი რკინის მეტალი ამოიღეს. მეტალის წარმოშობის დადგენაც არ გასჭირვებიათ, ამით საპატარძლო ფატას ამაგრებენ თმაში, კარგად რომ „იჯდეს“ და არ მოძვრეს. გოგონას ხელში უბრალო გულსაკიდი ჰქონდა ჩაბღუჯული და პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი არ გააჩნდა, თუმცა ერთ საათში ვიცოდით – იმ დღეს, ქორწინების სახლის ეზოდან პატარძალი გაიქცა. გავიგეთ სიძის სახელი და გვარი, რომელმაც გარდაცვლილი ამოიცნო – ეს ჩემი ცოლია, მაგრამ ერთად ყოფნა ათი წუთითაც არ დაგვცალდაო“, – გვიყვება მორიგ ისტორიას პოლიციის გადამდგარი პოლკოვნიკი, ბატონი თენგიზი.

ქორწილი ძალიან მოკრძალებული გახლდათ. „პარიკმახერი“ (მაშინ სტილისტებს სწორედ ასე ეძახდნენ) ბიჭი სოფლიდან ჩამოსულ გოგოზე იწერდა ჯვარს. გოგოს სოფელში დედა და პატარა და ჰყავდა, ვერ ჩამოდიოდნენ გაჭირვების გამო და ამიტომ, ქორწილის მაყრიონს მხოლოდ სიძე-პატარძალი და მათი მეჯვარეები შეადგენდნენ. ბიჭი ბავშვთა სახლში იყო გაზრდილი და ნათესავიც კი არ ჰყავდა.

მისი მონაყოლით, ყველა ბედნიერი იყო. ხელი მოაწერეს, შემდეგ გოგოს ვიღაც კაცმა თაიგული მიართვა და პატარა ყუთიც გადასცა. გოგონამ ყუთი გახსნა, იქ ჩვეულებრივი, უბრალო გულსაკიდი იდო, ყვავილები მოისროლა და კაცს დაედევნა. ამან ყველა გააოცა, თუმცა გოგონა ქორწინების სახლის შესასვლელთან გაჩერებულ მანქანაში ჩაჯდა და წავიდა. შემდეგ არავინ არაფერი იცოდა. მანქანა თეთრი ფერის „ჟიგული“ იყო და, რა თქმა უნდა, სიშორის გამო, ნომერი ვერავინ დაინახა.

გამომძიებლები სოფელში, გოგოს დედასთან ჩავიდნენ. მან უთხრა, რომ ერთი კვირით ადრე, ვიღაც ქალი ეწვია, რომელმაც თავი სასიძოს დედად წარადგინა, ესაუბრა, შემდეგ კი წავიდა. მეზობლებმა დაინახეს, რომ ქალი თეთრი „ჟიგულით“ იყო მისული, მაგრამ საჭესთან მამაკაცი იჯდა, რომელიც შინ არ შესულა. მამაკაცის აღწერა ვერავინ შეძლო, ქალი კი ასე, 50 წლამდე იქნებოდა, მდიდრულად ეცვა და მოკლედ შეჭრილი თმა ჰქონდა.

გულსაკიდის დანახვაზე დედა გაოცდა, ეს გულსაკიდი ჩემია, სახლში მქონდა და ჩემს შვილს საიდან ჩაუვარდა ხელშიო.

„პრაქტიკულად, მკვდარი საქმე იყო. გოგონა არა მარტო დედამ, არამედ, მთელმა სოფელმა და თბილისში მცირე სანაცნობო წრემ უპატიოსნეს და უკეთილშობილეს ადამიანად დაახასიათა. წარსულში ვერაფერი ვიპოვეთ, საქმრო ამბობდა, არც კი გამიგია, ვინმე სხვა თუ ელაპარაკებოდა, ეჭვიც არ გამჩენიაო. იგივეს ამბობდა მეჯვარეც და რაც მთავარია, არავინ იცნობდა არც იმ კაცს და წარმოდგენა არ ჰქონდათ, ვინ შეიძლებოდა ყოფილიყო ქალი, რომელიც თავს სიძის დედად ასაღებდა. ამოვწიეთ არქივები, იქნებ, ბავშვთა სახლში გაზრდილ ბიჭს დედა გამოუჩნდაო, მაგრამ დაზუსტებული ცნობით, მისი ბიოლოგიური დედა გარდაცვლილი იყო“, – იხსენებს ბატონი თენგიზი.

ორკვირიანი არაფრისმომცემი ქმედებების შემდეგ, გამომძიებლებმა გადაწყვიტეს, კვლავ სასიძო დაეკითხათ. „პარიკმახერის“ სახლში მისულ სამართალდამცავებს უცნაური სურათი დახვდათ – ბიჭი აშკარად იმაზე კარგად ცხოვრობდა, ვიდრე მის სტატუსს შეესაბამებოდა. უცხოური წვერის საპარსი, უცხოური სუნამოები, „ადიდასის“ სპორტულები... ამ დროს კი ის უბრალო „პარიკმახერი“ იყო. სამართალდამცავებმა არაფრისმომცემი კითხვები დაუსვეს და იმავე დღიდან, მასზე თვალთვალი დააწესეს. ორკვირიანმა თვალთვალმა არაფერი მოიტანა, ბიჭი სამსახურში დადიოდა, შემდეგ კი სახლში იყო. ყველაზე დიდი, ეზოში, მეზობლებთან ნარდი ან დომინო ეთამაშა. ის იყო, თვალთვალის მოხსნას აპირებდნენ, როცა ერთ საღამოს, სამსახურის შემდეგ, ბიჭმა სახლიდან არცთუ მსუბუქი ჩემოდანი გამოიტანა, ტაქსიში ჩაჯდა და ქალაქგარეთ, წყნეთისკენ წავიდა. მანქანა ერთ-ერთ სახლთან გაჩერდა, ბიჭი გადმოვიდა და ეზოში თავის ჩემოდნიანად მიიმალა. სამართალდამცავები ფრთხილად შევიდნენ ეზოში, ფანჯრიდან შეიხედეს და დაინახეს, რომ რამდენიმე ქალი მაგიდას უსხდნენ, ყავას სვამდნენ, ნამცხვარს მიირთმევდნენ, ბიჭი კი გვერდით ოთახში, კიდევ ერთ ქალს თმას სჭრიდა და ვარცხნიდა. დილამდე ასე გაგრძელდა, დილით ბიჭი ისევ შინ დაბრუნდა. გამომძიებლებმა სახლის პატრონის ვინაობაც დაადგინეს და იქ მყოფი ქალბატონებისაც – ყველა მათგანი ან თავად იყო გავლენიანი, ან გავლენიანი მეუღლე ჰყავდა. სახლის პატრონი, ვინმე ნონა გახლდათ, 52 წლის, რომელსაც თბილისში კარგად იცნობდნენ. ის ერთ-ერთ ქარხანაში, უფროსის მოადგილედ მუშაობდა, თუმცა როგორც ამბობდნენ, რეალური უფროსი თავად იყო და ქარხნის ფინანსებს მთლიანად განაგებდა.

აგენტურული ქსელის ჩართვის შემდეგ, მილიციამ ისიც დაადგინა, რომ სახლის პატრონი „პარიკმახერის“ საყვარელი იყო და აგერ, უკვე მეორე წელია, საჩუქრებითაც ანებივრებდა და დაქალებისთვისაც ცალკე სალონი სახლში ჰქონდა მოწყობილი. მისი სურათი მოიპოვეს და სოფელში, მოკლული გოგოს დედას ანახეს. მან მაშინვე ამოიცნო სასიძოს „დედა“. მის საკუთრებაში იყო თეთრი „ჟიგულიც“, რომელსაც თავად მართავდა და შესაბამისად, ვინ იყო უცხო კაცი, ვერავინ მიხვდა.

ეჭვმიტანილის დაკავებას გამოძიება არ ჩქარობდა. ჯერ ერთი, არაფერი ჰქონდა, გარდა იმისა, რომ დედამ ამოიცნო, როგორც მასთან მისული სტუმარი, მაგრამ არც მკვლელობის ადგილზე დაუნახავს ვინმეს, არც – მანქანაში, არც ანაბეჭდები იყო სადმე.

სანამ მილიცია იმას ფიქრობდა, რის საფუძველზე დაეკავებინათ გავლენიანი ქალი, განყოფილებაში ერთი კაცი მივიდა და გამომძიებელი იკითხა. შემდეგ, მასთან მარტო დარჩენა მოითხოვა და ჩუმად უთხრა, რომ ქარხანაში, ნონასთან მუშაობდა, ქორწილის დღეს ქარხნიდან წამომიყვანა, მითხრა, ეს თაიგული და ყუთი პატარძალს მიეცი, მერე მანქანაში ჩაგიჯდება და ჩემთან მოიყვანეო. წავკისის მხარეს უნდა მიმეყვანა. ასეც მოვიქეცი, მათ ვერ ვხედავდი, მერე მხოლოდ ქალბატონი ნონა დაბრუნდა მანქანაში და ახლა გავიგე, რომ იმ ადგილებში გარდაცვლილი გოგო უნახავთ, რომელსაც საპატარძლო კაბა ეცვა. არ მინდა, მკვლელობის მონაწილე გავხდეო.

ეს მონაყოლი საკმარისი გამოდგა ნონას დასაკავებლად. დაკითხვებზე თავიდან ხმას არ იღებდა,როგორც ჩანს, მფარველების ქმედებას ელოდა და არცთუ ტყუილად. საგამოძიებო უწყებას ყოველ დღე სხვადასხვა მაღალჩინოსანი აზანზარებდა და ნონას გათავისუფლებას ითხოვდა. ოთხი დღის შემდეგ, ქალმა საუბარი დაიწყო.

„ეგ პარიკმხერი შემთხვევით გავიცანი, მერე თავბრუ დამახვია, ჩემს ასაკში, ახალგაზრდა ბიჭის ყურადღება არ არის მარტივი გასატარებელი, თან არც ქმარ-შვილი მყავს. მოკლედ, ეს ბიჭი ჩემი საყვარელი და ჩემი სადაქალოს პირადი პარიკმახერი გახდა. ერთ დღეს კი მოულოდნელად გამომიცხადა, ცოლი მომყავს, მაგრამ შენთან ურთიერთობას არ შევწყვეტო. მივხვდი, დასასრულის დასაწყისი იყო, ამიტომ ის გოგო ვნახე და ვუთხარი, თუ ცოლად გაჰყვები, დედაშენს მოვკლავ-მეთქი. არ დაიჯერა, ქორწილზე უარი არ თქვა, ამიტომ სოფელში წავედი და დედამისს გულსაკიდი მოვპარე, დანარჩენი კი იცით.

რაც შეეხება მკვლელობას, არ მინდოდა, მაგრამ დამინახა თუ არა, ყელში მეცა. ფატიდან ის მეტალი შემთხვევით მომხვდა ხელში და ინსტიქტურად დავარტყი“, – ეს გახლავთ ამონარიდი დაკავებულის ჩვენებიდან.

ყველაფრის მიუხედავად, ნონას მეგობრებმა იმდენი მოახერხეს, რომ სასამართლომ მკვლელობა აუცილებელ მოგერიებად შეაფასა და მხოლოდ სამწლიანი სასჯელი არგუნა. ერთ წელიწადში კი, კარგი ქცევის გამო, ციხიდან გაათავისუფლეს.

გათავისუფლების მიუხედავად, მას ახალი, „თბილი“ სამსახურის მოძებნა გაუჭირდა და თავს ძვირფასეულობის გაყიდვით ირჩენდა. „პარიკმახერი“ კი... როგორც ამბობენ, ნონას ერთ-ერთ დაქალს დაუმეგობრდა და ახლა მის ხარჯზე განაგრძობს ცხოვრებას.

პოლიციამ თბილისში მომხდარი დაჭრის ფაქტი ცხელ კვალზე გახსნა – დაკავებულია ერთი პირი

შინაგან საქმეთა სამინისტროს თბილისის პოლიციის დეპარტამენტის ძველი თბილისის სამმართველოს თანამშრომლებმა, ცხელ კვალზე ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, 2001 წელს დაბადებული თ.მ., დამამძიმებელ გარემოებაში ჩადენილი განზრახ მკვლელობის მცდელობის ბრალდებით, თბილისში დააკავეს.

დანაშაული 16-დან 20 წლამდე ან უვადო თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

გამოძიებით დადგინდა, რომ არაფხიზელ მდგომარეობაში მყოფმა ბრალდებულმა, მიმდინარე წლის 21 ივნისს, თბილისში, კოტე მესხის ქუჩაზე, ურთიერთშელაპარაკების ნიადაგზე, ასევე, არაფხიზელ მდგომარეობაში მყოფი ნაცნობები – 2001 წელს დაბადებული მ.მ. და 2001 წელს დაბადებული გ.ო. ცივი იარაღის გამოყენებით დაჭრა და შემთხვევის ადგილიდან მიიმალა.

დაჭრილი მამაკაცები სასწრაფო სამედიცინო დახმარების ბრიგადამ საავადმყოფოში გადაიყვანა, სადაც მათ შესაბამისი დახმარება გაეწიათ. ერთ-ერთი დაჭრილის ჯანმრთელობის მდგომარეობა სტაბილურად მძიმეა.

სამართალდამცველებმა, ცხელ კვალზე ჩატარებული ოპერატიული და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, ბრალდებული მომხდარიდან რამდენიმე საათში დააკავეს.

პოლიციამ დანაშაულის ჩადენის იარაღი – დანა ნივთმტკიცების სახით ამოიღო.

ორი ან მეტი პირის მიმართ დამამძიმებელ გარემოებაში ჩადენილ განზრახ მკვლელობის მცდელობის ფაქტზე გამოძიება საქართველოს სსკ-ის 19-109-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით მიმდინარეობს.

კახეთის პოლიციის დეპარტამენტს ახალი ხელმძღვანელი ჰყავს

შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილეებმა, შალვა ბედოიძემ და ვლადიმერ ბორცვაძემ კახეთის პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებს ახალი ხელმძღვანელი პირადად წარუდგინეს.

კახეთის პოლიციის დეპარტამენტს პოლიციის პოლკოვნიკი, გიორგი ალადაშვილი უხელმძღვანელებს. მინისტრის მოადგილეებმა პოლიციის დეპარტამენტის ახლად დანიშნულ დირექტორს წარმატებები და ნაყოფიერი მუშაობა უსურვეს.

ამ დრომდე გიორგი ალადაშვილს შინაგან საქმეთა სამინისტროს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის დირექტორის მოადგილის თანამდებობა ეკავა. მას სამართალდამცავ სტრუქტურებში მუშაობის რამდენიმეწლიანი გამოცდილება აქვს.

შინაგან საქმეთა სამინისტრომ საქართველოს მოქალაქეების საზღვარგარეთ უკანონოდ გამგზავრების ორგანიზებისთვის ერთი პირი დააკავა

შინაგან საქმეთა სამინისტროს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლის მთავარი სამმართველოს ტრეფიკინგისა და უკანონო მიგრაციის წინააღმდეგ ბრძოლის სამმართველოს თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიული და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, 1981 წელს დაბადებული ს.კ. ბათუმში დააკავეს.

მას ბრალი ყალბი ოფიციალური დოკუმენტების გამოყენებითა და ფინანსური სარგებლის მიღების მიზნით, საქართველოს მოქალაქეების უცხო ქვეყანაში წინასწარი შეცნობით უკანონოდ დარჩენის ორგანიზებასა და ხელშეწყობაში ედება.

დანაშაული 3-დან 6 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

გამოძიებამ დაადგინა, რომ ბრალდებულმა ს.კ.-მ, საქართველოს ერთ-ერთ მოქალაქეს შესაბამისი პირობები შეუქმნა, კერძოდ, ყალბი დოკუმენტების მეშვეობით ორგანიზება გაუწია საზღვარგარეთ მის გამგზავრებას და უკანონოდ დარჩენას.

პოლიციამ, ს.კ.-ის საცხოვრებელი ბინისა და სამუშაო ოფისის ჩხრეკის შედეგად, ნივთმტკიცებად ამოიღო: სხვადასხვა მოქალაქის სახელზე გაცემული ავიბილეთების ჯავშნები, სასტუმროს ჯავშნები, სამედიცინო კვლევების გაყალბებული შედეგები, რეგისტრაციის ბარათები და საზღვარგარეთ გასამგზავრებლად საჭირო სხვა დოკუმენტები. დაკავებულის ოფისის ჩხრეკისას, ასევე, ამოღებულია 2500 ლარამდე თანხა.

ყალბი ოფიციალური დოკუმენტების გამოყენებით, ფინანსური სარგებლის მიღების მიზნით, საქართველოს მოქალაქეების უცხო ქვეყანაში წინასწარი შეცნობით უკანონოდ დარჩენის ორგანიზებისა და ხელშეწყობის ფაქტზე გამოძიება საქართველოს სსკ-ის 344-ე პრიმა-2 მუხლის მეორე ნაწილის „დ“ ქვეპუნქტით მიმდინარეობს.

ბოლნისში მომხდარი მკვლელობის საქმის გამოძიების ფარგლებში, პოლიციამ ცეცხლსასროლი იარაღის უკანონო შეძენა-შენახვა-ტარების ბრალდებით ერთი პირი დააკავა

შინაგან საქმეთა სამინისტროს ქვემო ქართლის პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა, მიმდინარე წლის 19 ივნისს, ქალაქ ბოლნისში მომხდარი მკვლელობის საქმის გამოძიების ფარგლებში, 1991 წელს დაბადებული ი.ჩ., ცეცხლსასროლი იარაღის უკანონო შეძენა-შენახვა-ტარების ბრალდებით დააკავეს.

გამოძიებით დადგინდა, რომ ბოლნისში მომხდარი დაპირისპირებისას, რა დროსაც ერთი პირი სასიკვდილოდ დაიჭრა, შემთხვევის ადგილზე იმყოფებოდა ი.ჩ.-ც, რომელსაც თან ჰქონდა სამართალდამცველების მიერ ამოღებული ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღი.

აღნიშნულ სისხლის სამართლის საქმესთან შემხებლობაში მყოფი სხვა პირების დადგენა-დაკავების მიზნით, გრძელდება საგამოძიებო მოქმედებები.

განზრახ მკვლელობისა და ცეცხლსასროლი იარაღის უკანონო შეძენა-შენახვა-ტარების ფაქტებზე გამოძიება სსკ-ის 108-ე და 236-ე მუხლებით მიმდინარეობს.

პოლიციამ ოჯახის არასრულწლოვანი წევრის მიმართ ჯგუფურად ჩადენილ წამების ფაქტზე თბილისში ორი პირი დააკავა

შინაგან საქმეთა სამინისტროს თბილისის პოლიციის დეპარტამენტის არასრულწლოვნების მთავარი სამმართველოს თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად, არასრულწლოვნის მიმართ ჯგუფურად ჩადენილ წამების ფაქტზე, არასრულწლოვნის მამინაცვალი – 1993 წელს დაბადებული ა.ს. და დედა – 1993 წელს დაბადებული მ.დ. თბილისში დააკავეს.

დანაშაული 9-დან 15 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

გამოძიებით დადგინდა, რომ მ.დ. და მისი მეუღლე – ა.ს., არასრულწლოვანს – 2014 წელს დაბადებულ ვ.დ.-ს დასჯის მიზნით აწამებდნენ, რომელიც თავისი ხასიათით, ინტენსივობითა და ხანგრძლივობით იწვევს ძლიერ ფიზიკურ ტკივილს.

სამართალდამცველებმა, ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, ა.ს. და მ.დ. ბრალდებულების სახით, თბილისში დააკავეს. გამოძიების ფარგლებში დანიშნულია შესაბამისი ექსპერტიზები და ტარდება ყველა შესაბამისი საგამოძიებო და საპროცესო მოქმედება.

არასრულწლოვანი, თავის მცირეწლოვან ძმასთან ერთად, სოციალური მუშაკის მიერ გადაყვანილია უსაფრთხო ადგილას.

საქმეზე გამოძიება არასრულწლოვნის მიმართ ჯგუფურად ჩადენილ წამების ფაქტზე, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 11 პრიმა-144 პრიმა მუხლის მეორე ნაწილის „ე“ და „ზ“ ქვეპუნქტებით მიმდინარეობს.

პირველად საქართველოში – იტალიურ კლუბს ქართველი ქალი ფეხბურთელი სურს

საქართველოში ქალების ფეხბურთის არსებობა ფართო მასებმა შარშან გაიგეს,როცა „ლანჩხუთმა“, საქართველოს ისტორიაში პირველად, ჩემპიონთა ლიგაზე იასპარეზა. აღნიშნულ ტურნირზე, გურულების ერთ-ერთი გამორჩეული წევრი, 21 წლის მეკარე, თათია გაბუნია გახლდათ. როგორც ჩანს, მისი თამაში შეუმჩნეველი არ დარჩენილა და მისი გადაბირება იტალიურმა „აპრილია რასინგმა“ მოისურვა. თათიას ლანჩხუთთან კონტრაქტი კიდევ ერთი წლით აკავშირებს, იტალიელებს კი მისი უფულოდ წაყვანა სურთ, თუმცა, როგორც ითქვა, გადაწყვეტილება მიღებულია და გაბუნია გუნდს არ შეიცვლის.

„აპრილია რასინგი“ იტალიის სერია C-ს (მესამე ლიგა) D დივიზიონის სამოყვარულო კლუბია. გვინდა განვაცხადოთ, რომ არ ვაპირებთ თათია გაბუნიას ისეთ კლუბში გაშვებას, სადაც ვერ განვითარდება და არც თავად თათიას სურს ხსენებულ გუნდში წასვლა“, – ასეთია „ლანჩხუთისა“ და თავად გაბუნიას პოზიცია, თუმცა ის, რომ ქართველი გოგონები უცხოელების თვალთახედვის არეში მოექცნენ, ძალიან კარგია.

როცა ფული კარიერას სჯობს

ხავი მარტინესი ბილბაოს „ატლეტიკიდან“, მიუნხენის „ბაიერნში“ 2012 წელს გადავიდა. მაშინ ის მსოფლიოს ერთ-ერთ საუკეთესო ნახევარმცველად ითვლებოდა და არც თუ ტყუილად. ამ ხნის განმავლობაში, მარტინესმა გერმანული გუნდის რიგებში, ქვეყნის ჩემპიონის ტიტული 8-ჯერ მოიპოვა, გერმანიის თასს 5-ჯერ დაეუფლა, სუპერთასი 4-ჯერ აღმართა, 2-ჯერ ჩემპიონთა ლიგაში იმარჯვა, თითოჯერ კი უეფა-ს სუპერთასი და მსოფლიოს საკლუბო ჩემპიონატი მოიგო. მიმდინარე სეზონის ბოლოს, მარტინესს კლუბთან კონტრაქტი ამოეწურა და ყველა ვარაუდობდა, რომ ის რომელიმე ტოპ-კლუბში გააგრძელებდა კარიერას, თუმცა 32 წლის ნახევარმცველი ყატარში წავიდა.

„ყატარში ჩემი ბევრი მეგობარი თამაშობს და მინდა, ძალები მეც მოვსინჯო. რატომღაც მგონია, რომ კარიერის გასაგრძელებლად, ყატარი დღეს საუკეთესო ადგილია“, – განაცხადა მარტინესმა.

რეალურად კი, ყატარის ჩემპიონატი ერთ-ერთი დაბალი დონისაა, მაგრამ იქაური შეიხების წყალობით, ევროპიდან ჩასულ ვარსკვლავებს კოლოსალურ თანხებს უხდიან და აგერ, მარტინესიც წლიურად 20 მილიონ დოლარს მიიღებს. „ბაიერნში“ მას ამის მესამედიც კი არ ჰქონდა.

გატუზოს ძველმა ცოდვებმა უწია

იტალიური „ნაპოლიდან“ გათავისუფლებული მწვრთნელი, ჯენარო გატუზო თითქოს უმუშევარი დიდ ხანს არ უნდა ყოფილიყო. კახი კალაძის მეგობარი და ყოფილი თანაგუნდელი, სამუშაოდ ინგლისურმა „ტოტენჰემმა“ მიიწვია და მისი დანიშვნაც გადაწყვეტილი იყო, მაგრამ გულშემატკივრებმა აქცია აქციაზე მოაწყვეს და იტალიელის წინააღმდეგ გამოვიდნენ. „ტოტენჰემის“ ფანებს კარგად ახსოვთ, რომ ფეხბურთელობის დროს, ზუსტად ათი წლის წინ, ტოტენჰემი-მილანის დაპირისპირების დროს, გატუზომ ლონდონური კლუბის მაშნდელი თავკაცის თანაშემწე, ჯო ჯორდანი ლამის დაახრჩო. იტალიელი მწვრთნელის ასისტენტს ყელში სწვდა და ძლივს გააგდებინეს.

„გატუზო კარგი სპეციალისტია, მაგრამ გულშემატკივართა წინააღმდეგ არ წავალთ“, – განაცხადა „ტოტენჰემის“ მფლობელმა დანიელ ლევიმ.

რა ღირს დონარუმა

იტალიის ეროვნულ ნაკრებს, ბოლო 30 მატჩია, არ წაუგია და ამასთან ერთად, ბოლო 11 შეხვედრა ისე მოიგო, გოლი არ გაუშვია. რა თქმა უნდა, ამაში ლომის წილი ნაკრების კარის დარაჯს, ჯანლუიჯი დონარუმას მიუძღვის, რომელიც ასაკის მიუხედავად, მსოფლიოში ერთ-ერთ ყველაზე გამოცდილ და პროფესიონალ მეკარედ ითვლება.

22 წლის კიპერს „მილანთან“ კონტრაქტი დაუმთავრდა და მის გაგრძელებას აღარ აპირებს. საქმე ის გახლავთ, რომ მას წლიურ ჯამაგირად 12 მილიონი ევრო სურს ანუ თვეში მილიონი და მილანელები ამდენს ვერ იხდიან. სამაგიეროდ, ფრანგული „პარი სენ ჟერმენის“ არაბი მფლობელები არიან მზად, აღნიშნული თანხა გადაიხადონ, თუმცა ახლა მხარეები იმ დეტალებზე ვერ თანხმდებიან, რამაც პარიზული კლუბიდან წასვლის შემთხვევაში, მეკარის გამოსასყიდი თანხა უნდა განსაზღვროს. დონარუმას გასაყიდ ფასად არაბი შეიხები კონტრაქტში 400 მილიონის ჩაწერას ითხოვენ მაშინ, როცა თავად დონარუმას მხოლოდ 120 მილიონი აწყობს. საქმე ის გახლავთ, რომ დონარუმას ოცნება „რეალში“ თამაშია, 400 მილიონს კი „სამეფო გუნდი“ არასდროს გადაიხდის. აი, 120 მილიონი ბევრად რეალური თანხაა.

და რატომ არ გადადის „რეალში“ დონარუმა ახლა? მიზეზი მარტივია – მადრიდელებს, ტიბო კურტუას სახით, კარის საიმედო დარაჯი ჰყავთ და არც ის უნდათ, ხელფასის სახით, წლიურად 12 მილიონი იხადონ.

უეფამ უკრაინა პუტინის გინების გამო არ დასაჯა

უკრაინის საფეხბურთო ნაკრები ევროპის ჩემპიონატის პლეი-ოფში გავიდა. ანდრეი შევჩენკოს გუნდი ცუდ ფეხბურთს ნამდვილად არ აჩვენებს, მაგრამ უფრო შორს წასვლა მაინც გაუჭირდება. თუმცა, შევჩენკოს კრებულის თამაშზე მეტად, საინტერესო ამბები უკრაინელი გულშემატკივრების ტრიბუნებზე ხდება.

პრაქტიკულად, ყველა შეხვედრაში, უკრაინელი ფანები ერთხმად გაჰყვირიან „პუტინ ხუილო“. რა თქმა უნდა, ეს შეუმჩნეველი არავისთვის დარჩენილა და რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტრომ და საფეხბურთო კავშირმა ერთად იჩივლეს, აქაოდა, პოლიტიკური განცხადებები უნდა აიკრძალოსო. უეფას სადისციპლინო კომიტეტმა რუსთა მოთხოვნა განიხილა და... „პუტინ ხუილოში“ პოლიტიკური გზავნილი ვერ დაინახა. ნუ, რაც დაინახა, იმის აკრძალვა არც უფიქრია.

კანკავა და კაშია ნაკრების ექს-მწვრთნელმა წაიყვანა

საქართველოს ეროვნული ნაკრების კაპიტანი, ჯაბა კანკავა და ვიცე-კაპიტანი გურამ კაშია კარიერას სლოვაკეთის ჩემპიონ გუნდში გააგრძელებენ. ბრატისლავის „სლოვანის“ მთავარ მწვრთნელად, საქართველოს ეროვნული ნაკრების ექს-დამრიგებელი, ვლადიმერ ვაისი დაინიშნა და ქართველებიც სწორედ მან იხმო.

„კაშიას და კანკავას დარი პროფესიონალები იშვიათად შემხვედრია. ასაკს თუ გავითვალისწინებთ, ორივე ვეტერანად ითვლება, მაგრამ დამიჯერეთ, ორივე იმ დონის პროფესიონალია, ასაკის კომპენსირებას გამოცდილების ხარჯზე აღწევენ. მათ გვერდით ახალგაზრდები გაიზრდებიან და დარწმუნებული ვარ, „სლოვანს“ ეს ორი ქართველი სხვა სიმაღლეზე აიყვანს“, – განაცხადა ვაისმა.

კონსტანტინე გამსახურდიას იგავები

ჯავშნოსანი და გუდურა

ერთი ჯავსნოსანი რეიდზე ისვენებდა. მსუბუქ ღელვას აყოლილი გუდურა ზედ ეხლებოდა ნაომარ გემს, დაუცხრომლად ებღლაძუნებოდა. ამ ამბავს უცქეროდნენ მოსეირნენი და იცინოდნენ უგუნური გუდურას თავხედობის გამო.

«რამ გადაგრია, ძია კაცო, – გადასძახა გზადგავლილმა კატარღამ გუდურას, – ერთი რომ შეგიბეროს, თვალსაწიერს გადაღმა გადაგტყორცნის ეს ჯავშნოსანი».

«ფიქრი არაა, – მიუგო გუდურამ, – ვიდრე ეს გემი ჩემზე ხელის გასვრას დააპირებდეს, ჯავშნოსანთან მებრძოლს შემარქმევს ხალხი».

ძაღლი

მამაჩემს ვენახი ჰქონდა მდინარის გადაღმა, როცა ყურძენი მწიფობაში გადავიდა, დამავალა: ძაღლი გადაიყვანე გაღმა და ვენახში დააბიო.

მთელი ღამე დაუცხრომლად ყეფდა ძაღლი. დღისით ვამჩნევდი: ყურძენს იპარავდა ვიღაც.

მამამ მიბრძანა: ალბათ, ქურდები შემოგვეჩვივნენ და დაბმული ძაღლი აბა, რას დააკლებსო მათ. აქებდა კიდევაც ჩვენს ფხიზელ მყეფარს.

მამაჩემის ბრძანებით, ძაღლი ავუშვი, გვიან ღამით თოფიანად დავუდარაჯდი ქურდებს.

მთვარიანი ღამე იყო და ვნახე: ძაღლი შუაგულ ვენახში შედიოდა, ერთს დაიყეფებდა... მისწვდებოდა ყურძენს, გადასანსლავდა, ისევ დაიყეფებდა...

ამ იგავის მორალი ასეთია: ზოგი კაცი თავად ჩადის ავკაცობას და თავის დანაშაულის დასაფარავად მამაჩემის ძაღლივით უყეფს გამოგონილ დამნაშავეს.

ბუ და არწივი

ბუმ შეუთვალა არწივს: მოდი დავმძახლდეთ და ქალ-ვაჟი ვაქორწინოთო.

დიდი ქორწილი გადაიხადა არწივმა. მოიწვია ბორები, ქორები, მიმინოები, კირკიტები, ჩხიკვები, კაჭკაჭები და ჭოტები. სუფრას ჩიტის რძეც არ აკლდა, მაგრამ ერთმა უსიამო ამბავმა ჩაფარცხა საქმე.

დღისით გამართულ ქორწილზე ბუს მართვემ ვეღარ დაინახა თავისი საქმრო, ხოლო ღამით გადახდილ ნადიმზე სიძე არწივს მოერია ძილი.

ბაგრატ მეფე და მეწისქვილე

ბაგრატ მეოთხეს ერთ დიღმელ გლეხს ამსგავსებდნენ, თურმე.

ნადიმის დროს ეხუმრებოდნენ კიდევაც ერისთავები მეფეს: ტახტი და გვირგვინი არ წაგართვასო იმ დიღმელმა მეწისქვილემ.

როცა ბაგრატმა მეორეჯერ აიღო ტფილისი, მოიხმო მეწისქვილე ისნის სასახლეში და უთხრა:

«გვირგვინში ხო არ აპირებ შეცილებას, ძია კაცო, ჰა?»

«რითვინ მინდა შენი გვირგვინი, მეფევ ბატონო?»

«როგორ თუ რისთვის?»

შეეკითხა გაოცებული მეფე.

«რითვინა და, შენ შესაძლოა, თავი გადააყოლო მაგ გვირგვინს, მე კი ჩემი დამტვერილი ჩაჩი და ეს გაოხრებული თავი სიკვდილამდის შემრჩებაო».

ჭადარი და კაკალი

ჭადარი და კაკალი წაეკიდნენ.

«შენ რა კაცი ხარ, ყოველ შემოდგომას ხალხი დაგესევა ხელკეტებითა და თავპირს დაგამტვრევს. მე კი ვდგავარ ცადატყორცნილი და ამაყად გადავცქერი ჩემს ქვემოთ მოფუსფუსე ადამიანებს», – ეუბნება ჭადარი თავის მეზობელს.

კაკალმა მწარედ გაიღიმა:

«ჰერი-ჰა, ნუთუ, არ იცი, შლეგო, ხელკეტებს მხოლოდ იმას რომ ესვრიან, ვისგანაც ნაყოფს გამოელიან, ამიტომაც, ჯერ გიჟის გარდა არავინ მინახავს, ხელკეტს რომ გესროდეს უნაყოფოს, ბერწს».

გულუბრყვილო სპილო

ერთ ტყეში ერთი სპილო ცხოვრობდა სვიანად. ტურები შურის თვალით შესცქეროდნენ მის ბედნიერებასა და ფაშფაშა სხეულს, თანაც ნატრობდნენ: თუ ბედმა მოგვხედა და როგორმე ჩავაძაღლეთ ეგ მუზმუზელა, მთელ ჩვენს ჯილაგს ეყოფაო საძიძგნად.

ერთ დღეს შეგროვდნენ ტურები და თათბირი გამართეს:

რა ვიღონოთ ისეთი, რომ ამ სპილოს მოვუსწრაფოთო სიცოცხლე!

ერთი ახალგაზრდა ტურა წამოდგა და ასეთი რამ სთქვა:

შარშან ერთ სპილოს ყურში ჩავუძვერი, როცა მას არხეინად ეძინა ხეზე მიყუდებულს, ყვრიმალი გამოვსჭამე და მოვკალიო.

თუ მიბრძანებთ ამ სპილოსაც ბოლოს მოვუღებო.

ტურებმა სიცილი დააყარეს მკვეხარას.

ახლა მეორე, უკვე ხანდაზმული და დაბრძენებული ტურა წამოდგა.

მე თუ დამაკისრებთ ამ საქმეს, უთუოდ მოვაშთობო ამ ლეშს.

ტურების კრებულმა ერთხმად მიანდო ამ მრავალნაცად ტურას ეს საპატიო საქმე.

ბოლოს, ეს ტურა წავიდა იმ ტყეში, სადაც სპილო ცხოვრობდა, ფერხთით დაუვარდა, ლიქნა დაუწყო და შეჰღაღადა:

ერთადერთი სათხოვარი მაქვს, შენო მეუფებავ, შენს წინაშე, მხოლოდ ერთი შემოხედვა მაღირსეო როგორმე...

სპილომ მოწყალების თვალით გადმოხედა ამ დალეულს და ჰკითხა:

ვინა ხარ და საიდან მოთრეულხარო?

ტურამ მლიქვნელურად შესციცინა სპილოს და მოახსენა:

მე ერთი საწყალი ტურა გახლავართ, ძველთაძველი შენი თაყვანისმცემელი, ამ ტყის ბინადართ მოციქულად წარმომგზავნეს შენთან და შემოგითვალეს: ჩვენ საჭმელიც ბევრი გვაქვს და სასმელიცა, მაგრამ ერთადერთი რამ გვაკლია ცხოვრებაში: სახელდობრ შენებრ სახელოვანი პატრონი. ამიტომაც გემუდარებით: ეგებ გვიკადრო და მობრძანდეთ ჩვენთან, რათა ტყეთა მეფედ აგირჩიოთ დაუყოვნებლივ.

სად არიან მერმე ის წვრილფეხა მხეცები? – იკითხა სპილომ.

შენსა მზესა ვფიცავარ, ჩვენო პატრონო, სულ ახლოს, ასიოდე ნაბიჯის მანძილზე, – მიუგო ტურამ.

ქებისაგან თავბრუდასხმული სპილო აცუნდრუკდა, დანდობილად გაჰყვა თავის მეხოტბეს.

იარეს,

იარეს,

იარეს.

სამი ბექობი გადალახეს, სამი ველი გადაიარეს, ბოლოს, დაიქანცა სპილო და შეეკითხა მეგზურს:

– რა შორს მიგყავარ, ცანცარავ, ნუთუ, ეგ არის შენი ასი ნაბიჯი?

ენამოშაქრული ტურა არ დაიბნა და ლიქნას შეუდგა კვლავ:

მე ჩემს ნაბიჯს როდი ვგულისხმობდი, შენო მეუფებავ, არამედ, შენსას, რადგან შენა ბრძანდები უდიდესი არსება ამ ქვეყნად, ამიტომაც დიდი ნაბიჯებით დაბრძანდები.

ბოლოს, ლიქნითა და ქებით იმდენი იტყუა და ატარა ის გულუბრყვილო სპილო ტურამ, უკვე შესაღამოვდა. ამასობაში ერთ ჭაობს მიადგნენ კიდევაც და მოხდა ასე, რომ სწორედ ამ ჭაობში ჩაეფლო სპილო.

როცა ძლიერ მისჭირდა საქმე, ყურებპანტურა გოლიათი შეევედრა თავის მეგზურს:

მიშველეო რამე.

ტურამ უკანალი შეაქცია ლაფში ჩაფლულ სპილოს და უთხრა:

ახლა ამას გირჩევ, შენო მეუფებავ, ჩემს კუდს მოეკიდო როგორმე ხორთუმით.

ბოლოს, ჭაობში ჩაფლულ სპილოს სული ამოძვრა, ხოლო მხცოვანმა ტურამ თავის ჯილაგს შეუსრულა დანაპირები.

ამ იგავის მორალი ყველასათვის ცხადია: სწორედ ქებას დანატრებულთ მოგელით უდიდესი საფრთხე ამ ქვეყნად.

არ არის აცრა, არ არის ტელეფონი

არ გაქვს გაკეთებული აცრა? – არ გექნება წვდომა მობილურ კავშირზე! პაკისტანში, პენჯაბის პროვინციაში გადაწყვიტეს, მობილური კავშირი გამოურთონ იმ მცხოვრებლებს, რომლებიც უარს ამბობენ კორონავირუსის საწინააღმდეგო ვაქცინაციაზე. ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები აცხადებენ, რომ ადამიანებს არ სურთ აცრა, რადგან ცუდად არიან ინფორმირებულნი ვაქცინის უპირატესობაზე და გვერდითი მოვლენების ეშინიათ. მთავრობაში იმედოვნებენ, რომ სადამსჯელო ღონისძიება, რომელიც მობილურ ტელეფონებს ეხება, შედეგს გამოიღებს და ყოველდღიურად იმუნიზაციის პროცესს, დაახლოებით, 420 ათასი ადამიანი შეუერთდება.

შედევრების ასლები პოლიეთილენის პარკებისგან

ბრაზილიელი მხატვარი, ედუარდო სრური მთელ მსოფლიოში ცნობილია თავისი პროექტებით, რომელიც გარემოს დაცვას ეხება. ცოტა ხნის წინ, მან კიდევ ერთი ასეთი პროექტი განახორციელა – ცნობილი ოსტატების შედევრები ცელოფნის პარკებისგან შექმნა, რომლებიც მშობლიურ სან-პაულუს ქუჩებსა და მდინარეებში მოაგროვა. 47 წლის მხატვარმა მნახველები გააოცა პიკასოს, ვან გოგის, მონეს, ჰოკუსაის, მუნკის, უორჰოლისა და სხვა სახელოვანი შემოქმედის ასლებით. მასალად მან პოლიეთილენის გამოყენებული პაკეტები გამოიყენა, რითაც გარემოს დაბინძურება გააპროტესტა. ედუარდოს თქმით, დღეს პლასტიკი „დომინირებს ყველაზე და ყველაფერზე“. უფრო ადრე მხატვარმა არაერთი, ეგრეტ წოდებული, „საქალაქო ინტერვენცია“ განახორციელა – ამ შემოქმედებით პროექტებით საზოგადოების ყურადღება უნდა მიეპყრო ეკოლოგიის პრობლემებისკენ.

საკვებად ვარგისი ნიღბები შექმნეს

კორონავირუსის პანდემიის ფონზე, პირბადე ჭეშმარიტი აქსესუარი გახდა, თუმცა ის უპირველესად, საში-ში დაავადებისგან თავდაცვის ერთ-ერთი საშუალებაა. დღესდღეობით, მსოფლიოში უკვე არსებობს ნიღბები ბრილიანტებით, ოქროთი, სხვა ძვირფასი მეტალებითა და ქვებით. თუმცა, ამჯერად, ამომავალი მზის ქვეყანამ შემოგვთავაზა ახალი და მყიდველების ფართო წრისთვის ხელმისაწვდომი პირბადე – მათ პირველი, საკვებად ვარგისი ნიღაბი დაამზადეს. მისი ავტორები ამტკიცებენ, რომ ამ გამოგონებას ვირუსებისგან დაცვაც შეუძლია. ეს ექსპერიმენტული პირბადე ნესვის ფუნთუშისგან – ტრადიციული იაპონური ტკბილი ნამცხვრისგან დაამზადეს. კვლევებისას, სწავლულები დარწმუნდნენ, რომ პურს, მკვრივი ბოჭკოების წყალობით, შეუძლია არასამედიცინო პირბადეზე არანაკლებ დაიცვას ადამიანი. ხუთი ფუნთუშა-ნიღბისგან შემდგარი კომპლექტი 16 დოლარი ღირს და ბაზარზე ის უმალ გასაღდა.

ყველაზე მაღალი შენობა პარიზში იქნება

წლის ბოლოს, საფრანგეთის დედაქალაქში, Tours Duo-ს კოშკების მშენებლობა დასრულდება. პროექტი ყველაზე მაღალი იქნება XXI საუკუნეში რეალიზებულებს შორის და მესამე პარიზში – ეიფელისა და მონპარნასის კოშკების შემდეგ. Tours Duo-ის მშენებლობა 2017 წელს დაიწყო, მისი ღირებულება 600 მილიონი დოლარია. შენობის მფლობელია კანადური საინვესტიციო კომპანია Ivanhoe Cambridge. შენობა ორი ასიმეტრიული, სხვადასხვა მხარეს გადახრილი კოშკია. 28-სართულიანის სიმაღლე 125 მეტრი იქნება, 39-სართულიანის – 180 მეტრი. შენობაში, ძირითადად, ოფისები განთავსდება, თუმცა იქნება სასტუმრო, რესტორანი, ბარი, კინოთეატრი, მაღაზიები და მწვანე ტერასები.

ყველაზე დიდი ოჯახის თავკაცი გარდაიცვალა

ინდოეთის მიზორამის შტატში, 76 წლის ზიონა ჩანა გარდაიცვალა, რომელიც მსოფლიოში ყველაზე დიდი ოჯახის თავკაცად იყო ცნობილი. მედიის ცნობით, რეკორდსმენ მამას დიაბეტი და ჰიპერტონია აწუხებდა. ჩანს 38 ცოლი, 89 შვილი, 36 შვილიშვილი და ერთი შვილთაშვილი დარჩა. ამ ოჯახის წყალობით, მიყრუებული სოფელი შტატის ძირითად ტურისტულ ღირსშესანიშნაობად იქცა. ცნობილია, რომ ეს დიდი, 181-კაციანი ოჯახი ერთად ცხოვრობს ოთხსართულიან სახლში, რომელსაც „ახალი თაობის სახლსაც“ უწოდებენ. მასში 100 ოთახია, თუმცა საკუთარი კუთხისთვის ყველას მაინც არ ჰყოფნის. გარდაცვლილი რელიგიური სექტის – ჩანა პოლის სულიერი ლიდერი იყო, რომელიც პოლიგამიას აღიარებს. ზიონა ჩანა მედიისთვის მუდმივი გმირი იყო, მისი სახლი კი – ტურისტული ადგილი, სადაც სტუმრები მთელი ინდოეთიდან და უცხოეთიდანაც ჩადიან, რასაც სოფლისთვის დამატებითი შემოსავალი მოაქვს.



ოთახის მცენარე რეკორდულ ფასად გაიყიდა

ახალ ზელანდიაში გამართულ აუქციონზე, იშვიათი მცენარე – რაფიდოფორა ტეტრასპერმა (ჭრელი მონსტერა) რეკორდულ თანხად – 19 279 დოლარად გაიყიდა. აუქციონის წარმომადგენლის თქმით, ოთახის მცენარეებს შორის, ეს ყველაზე ძვირადღირებულია, რაც კი ოდესმე გაყიდულა აუქციონებზე. ულამაზეს ყვავილს ერთმანეთს აუქციონის 248 მონაწილე ეცილებოდა. ვაჭრობის დასრულებამდე ოთხი წუთით ადრე, ფსონებმა მკვეთრად აიწია. ბოლო პერიოდში, ზელანდიაში, აუქციონების ტრენდი გახდა ოთახის მცენარეები, ამიტომ სულ უფრო მეტი ადამიანი ცდილობს, არ ჩამორჩეს მოდას და ყიდულობენ ყვავილებს, რის გამოც მათზე ფასი საკმაოდ გაიზარდა.

ალკოჰოლის დონეს ყურსასმენი გაზომავს

ტოკიოს სამედიცინო სკოლის სწავლულებმა შექმნეს მოწყობილობა, რომელიც სისხლში ალკოჰოლის დონეს ზომავს. ის ჩვეულებრივი ყურსასმენია, რომელიც გადაკეთებულია და ყურის კანიდან გამოსულ აირს ზომავს. თუ მოწყობილობა აღმოაჩენს ასეთ აირებს, ინთება ინდიკატორი – მისი სიმკვეთრე სპირტის კონცენტრაციაზეა დამოკიდებული. პროექტის ავტორებმა ყურსასმენი მოხალისეებზე გამოსცადეს, რომელთაც ალკოჰოლური სასმელი ექსპერიმენტის დაწყებამდე 140 წუთით ადრე მიიღეს. სპირტის კონცენტრაციამ ყოველ მოხალისეზე 0.4 გრამი შეადგინა.

პოპულარული თოჯინები ნარჩენებისგან

კომპანია Mattel-მა, რომელიც ბარბის თოჯინების მწარმოებელია, გადაწყვიტა, წვლილი შეიტანოს პლანეტაზე არახრწნადი ნარჩენების შემცირებაში, 2030 წლისთვის კი გეგმავს, რომ მთელი პროდუქცია გადამუშავებული პლასტმასისგან დაამზადოს. მწარმოებლები აღნიშნავენ, რომ მასალა, რომლითაც ახლა თოჯინები მზადდება, მსოფლიო ოკეანის დამაბინძურებელი ნარჩენები იქნებოდა. კოლექცია „ბარბის უყვარს ოკეანე“ სამი თოჯონისგან შედგება და საზაფხულო-საზღვაო სეზონს ეძღვნება. თითო თოჯინა ამ ხაზიდან 10 დოლარი ღირს. ცოტა ხნის წინ, კომპანიამ ახალი პროგრამის – Mattel Playback-ის შესახებ გამოაცხადა. ის მომხმარებლებს სთხოვს, გადაყრის ნაცვლად, კომპანიაში გააგზავნონ ძველი სათამაშოები, სადაც მათ გადაამუშავებენ და მასალას ახალი პროდუქციის დასამზადებლად გამოიყენებენ.

მაკარონის ტორტებს აცხობენ

ინდონეზიის დედაქალაქ ჯაკარტაში მდებარე საცხობი – Tot Aw ორიგინალურ ტორტებს სთავაზობს მათ, რომლებსაც ტრადიციული ტკბილეულობა მობეზრდათ. ტიპიური ცომის, კრემისა და მარციპანის ნაცვლად, ტორტები სწრაფი მომზადების მაკარონისგანაა გაკეთებული. დამატებითი ინგრედიენტებია ჩაშუშული საქონლის ხორცი, ქათამი, მდნარი ყველი და სხვა. მოსართავად კი წვრილ პომიდორსა და მწვანილეულს იყენებენ. კლიენტებს ტორტის შიგთავსის არჩევა სურვილის მიხედვით შეუძლიათ. სტანდარტული, ორსართულიანი ტორტის დასამზადებლად, დაახლოებით, 17 შეფუთვა მალარონი იხარჯება. ასეთი „დესერტით“ კი 8-10 ადამიანის დაპურებაა შესაძლებელი. ამ უჩვეულო ტორტებს საცხობი ამზადებს ქორწილების, დაბადების დღეებისა და სხვა განსაკუთრებული შემთხვევებისთვის.

ძმრის ნაყინი კულინარიულ ჰიტად იქცა

ნაყინის ჩინელი მწარმოებლები ბაზარზე ახალი პროდუქტით გამოვიდნენ – მათ პლომბირის წარმოება... ძმრით დაიწყეს. ამ უჩვეულო, ცივ დესერტს ბარდა და ქერიც აქვს დამატებული. მჟავე ნაყინი გასაყიდად, დაახლოებით, ერთი თვის წინ გამოვიდა და ჩინეთში უკვე კულინარიულ ჰიტად იქცა. ის უსწრაფესად იყიდება, როგორც ინტერნეტ-მაღაზიებიდან, ასევე, სანაყინეების დახლებიდან. ის, რომ "ძმრის პლომბირი" შანსის პროვინციაში გამოიგონეს, გასაკვირი სულაც არ არის – ეს ადგილი ცნობილია თავისი საუკეთესო ძმრით. აქაურები მას, როგორც სანელებელს კი არა, როგორც კარგ ღვინოს, ისე აფასებენ. პროვინციაში ძმარი ყველაფრის პანაცეად მიაჩნიათ. მისი დამზადების ტექნოლოგია ჩინეთში ჯერ კიდევ 3 ათასი წლის წინ იყო ცნობილი. მის ავტორად ტავად ლაო ძი მიიჩნევა. 2008 წელს, ძმარი ჩინეთის არამატერიალურ კულტურულ ძეგლად აღიარეს.

ჭამა ძილით ჩაანაცვლეთ

ნებრასკას უნივერსიტეტის სწავლულებმა დაამტკიცეს კავშირი უძილობასა და კვებითი ქცევის დარღვევებს შორის. პერსპექტივაში, რეჟიმის დარღვევის ასეთი ერთობლიობა და არასწორი კვება იწვევს ჭარბ წონას, გულსისხლძარღვღა დაავადებებს და მე-2 ტიპის დიაბეტს. მკვლევარებს მიაჩნიათ, რომ უძილობა და დაღლილობა გავლენას ახდენს მადის მარეგულირებელი ჰორმონის – გრელინის დონეზე. ამავდროულად, აღინიშნება „დანაყრების ჰორმონის“ – ლეპტინის დაბალი დონეც. დაღლილი ადამიანი უფრო იმპულსურია და დიდი ალბათობით, იწყებს სტრესის „მოხსნას“ მავნე, გემრიელი პროდუქტებით. გარდა ამისა, მადაც მატულობს, რათა ენერგიის დანაკლისი შეივსოს. ყატარელმა მკვლევარებმა დათვალეს, რომ სიმსუქნესა და დიაბეტს იწვევს ყოველდღიური, ნახევარსაათიანი ძილის უკმარისობა, ამასთან, დასვენების დღეებში გამოძინების მცდელობა ვერ ახერხებს ორგანიზმისთვის მიყენებული ზიანის ნეიტრალიზებას.

სუნამოს აბების სახით გამოუშვებენ



კომპანია Swallowable Parfum-ის სწავლულები თავდადებით მუშაობენ სუნამოს შექმნაზე, რომელიც კაფსულის ფორმის იქნება და შეძლებთ, წამალივით გადაყლაპოთ. ეს სასწაული აბები, რომელიც ჰარვარდის უნივერსიტეტის ბიოლოგმა და ავსტრალიელმა კრეატიულმა დიზაინერმა შექმნეს, ადამიანის კანს გენეტიკურად განუმეორებელი არომატის ფრქვევის საშუალებას აძლევს. სუნამოს მოლეკულები კანის მეშვეობით გამოიყოფა, როცა ადამიანი იოფლება. არომატის პოტენციალი განისაზღვრება ყოველი ინდივიდუმის ტემპერატურის, სტრესის, ფიზიკური დატვირთვისა თუ სექსუალური ლტოლვის რეაქციით. სუნამოს გადაყლაპვით, კანი მისი პლატფორმა ანუ „პულვერიზატორი“ ხდება – აცხადებენ სიახლის ავტორები. მიუხედავად იმისა, რომ მათ ჯერ არ დაუსრულებიათ რეოლუციურ გამოგონებაზე მუშაობა და არც გამოშვების თარიღზეა რამე ცნობილი, უკვე შეგვიძლია წარმოვიდგინოთ, რა უკუეფექტებს გამოიწვევს ორგანიზმში სუნამო აბებში.

სტაფილო სისხლს წმენდს

სისხლში ტოქსინების, მიკრობებისა და მძიმე მეტალების დაგროვება ორგანიზმს შიგნიდან ანგრევს. ამ მავნე ელემენტების გამოდევნას ხელს უწყობს სწორი კვება – ამბობენ სპეციალისტები. ამ პროცესში პირველი, მნიშვნელოვანი პროდუქტია სტაფილო: ის შეიცავს „ა“, „ბე“, „ცე“ და „კა“-ვიტამინებს, ასევე, ცილა გლუტატინს, რომელიც შესანიშნავად წმენდს ღვიძლს და ეხმარება ორგანიზმს ტოქსინებისგან გათავისუფლებაში. სისხლის გაწმენდას ხელს უწყობს ვაშლი, რომელიც პექტინს შეიცავს – ის მძიმე მეტალებისა და ქოლესტერინისგან წმენდს ორგანიზმს. სასარგებლოა გოგრაც, რადგან მასში გოგირდი და უამრავი ანტიოქსიდანტია.

კორონავირუსი დიაბეტს იწვევს



კორონავირუსული ინფექცია ხელს უწყობს დიაბეტის განვითარებას იმ პაციენტებში, რომელთაც დაინფიცირებამდე ეს დაავადება არ აღენიშნებოდათ – ასეთ დასკვნებს აკეთებენ სწავლულები, მელბურნის უნივერსიტეტიდან, ლონდონის სამეფო კოლეჯიდან და სხვა კვლევითი დაწესებულებებიდან. სპეციალისტებმა დაადგინეს, რომ პროტეინი ACE-2, რომელიც უზრუნველყოფს ვირუსის შეღწევას უჯრედებში, ზემოქმედებს გლუკოზის მეტაბოლიზმზე პასუხისმგებელ ორგანოებზე. ჯერჯერობით, დაუდგენელია, კოვიდით დაინფიცირებულ პაციენტებში განვითარებული დიაბეტი ახალი სახეობისაა, თუ უკვე არსებულ ორ ტიპს განეკუთვნება. ამ მხრივ, კვლევები ჯერ ისევ მიმდინარეობს.

მკვეთრი შუქი დეპრესიას კურნავს

აშშ-ს პიტსბურგის უნივერსიტეტის მეცნიერთა ჯგუფმა იმის მტკიცებულებას მიაგნო, რომ მკვეთრი შუქის თერაპია არ მარტო სეზონურ დეპრესიას შველის, არამედ, სერიოზულ ფსიქიკურ აშლილობებსაც კურნავს. კვლევის დროს, მედიკოსები პაციენტებს სპეციალურ სანათებს აძლევდნენ, რომლებიც ორი კვირის განმავლობაში, ყოველდღიურად 15, 30 ან 45 წუთით ენთო. ექსპერიმენტს ცხრა ავადმყოფის პალატაში ატარებდნენ. ოთხ მათგანს სინათლეს დილით უნთებდნენ, დანარჩენებს კი – შუადღით. გამოკვლევების შედეგად, სპეციალისტები იმ დასკვნამდე მივიდნენ, რომ მკვეთრი შუქით თერაპია შედარებით უფრო სასიკეთო დღის საათებში, დაახლოებით, 15 წუთის მანძილზე იყო. ექსპერიმენტისას, სწავლულებმა ისიც დაადგინეს, რომ შუქის თერაპია არა მარტო ზამთრის დეპრესიას შველის, არამედ, სერიოზულ ფსიქიკურ დაავადებებსაც. მათ დაამტკიცეს, რომ ბიპოლარულ აფექტურ აშლილობას, რომელსაც ადრე მანიაკალურ-დეპრესიულ ფსიქოზს უწოდებდნენ, სჯობს, ასევე, მკვეთრი შუქის დახმარებით უმკურნალონ.

ქოლესტერინის უკმარისობა საშიშია?



იაპონელმა მეცნიერებმა სენსაციური აღმოჩენის შესახებ განაცხადეს. ისინი ამტკიცებენ, რომ ორგანიზმში ქოლესტერინის უკმარისობა სიკვდილის რისკს ზრდის. მათი თქმით, ადამიანის ჯანმრთელობისთვის, სისხლში ქოლესტერინის დაბალი დონე უფრო საშიშია, ვიდრე – მაღალი. ამ ნივთიერების დეფიციტი მკვეთრად ზრდის სიმსივნისა და ინფექციური დაავადებების განვითარების რისკს და შესაბამისად, სიკვდილიანობის დონესაც. ქოლესტერინის უკმარისობა ადამიანში იწვევს დეპრესიასა და აპათიას, აუარესებს თავის ტვინის მუშაობას. ცხიმიანი საკვების ათვისებაში, სწორედ ქოლესტერინი გვეხმარება. იაპონელმა სწავლულებმა ქოლესტერინის ნორმალურ რაოდენობად, დეცილიტრ სისხლზე – 160-199 მილიგრამი მიიჩნიეს. პაციენტთა ჯგუფში, სადაც ეს ციფრი არსებითად მცირე იყო, სიკვდილიანობა მამაკაცებში 1.6-ჯერ მეტი, ხოლო ქალებში 1.4-ჯერ მეტი აღინიშნა. გამოიკვეთა უკუდამოკიდებულებაც – კონცენტრაციის გაზრდის შემთხვევაში, სიკვდილიანობა არსებითად მცირდებოდა.

ცხვრებს სასტუმრო გაუხსნეს

ამომავალი მზის ქვეყანაში, კანავაგას პრეფექტურაში, უჩვეულო სასტუმრო მოქმედებს, რომლის ნომრებიც მხოლოდ ცხვრებისთვისაა განკუთვნილი. ოტელი, რომელსაც Sheep Guest House ჰქვია, მსოფლიოში ამ სახის ერთადერთი დაწესებულებაა – ის ექსკლუზიურად, სწორედ ამ ოთხფეხებისთვის ააშენეს. აღსანიშნავია, რომ სასტუმროში სხვა არც ერთი ცხოველი არ დაიშვება. ამ უჩვეულო ოტელში საკმაოდ მდიდრული ნომრებია, ის თანამედროვე ინვენტარითაა გაწყობილი – საწოლებით, ტელევიზორებითა და ნომრისთვის საჭირო სხვა ავეჯითაც. სხვათა შორის, იაპონიაში – ტრადიციების ქვეყანაში, ცხვრები დიდ პატივში არიან. ზოგიერთ ოჯახში, ისინი შინაური ცხოველების რანგში ჰყავთ. როდესაც იაპონელები ქალაქიდან სადმე დასასვენებლად მიემგზავრებიან, საყვარელ ცხვრებს გულდამშვიდებით, სწორედ ამ სასტუმროში ტოვებენ.

ატამი ახალგაზრდობას გაგიხანგრძლივებთ

სწავლულები აცხადებენ, რომ ახალგაზრდობის შენარჩუნებაში ყველაზე ჩვეულებრივი, ყველასთვის ცნობილი და საყვარელი ხილიც დაგეხმარებათ. კერძოდ, ასეთ გამაახალგაზრდავებელ ეფექტს ატამი გპირდებათ. არაჩვეულებრივი თვისებების გამო, მას გადაჭარბების გარეშე შეგვიძლია ვუწოდოთ სუპერ-პროდუქტი. მკვლევარებმა ადრეც შეისწავლეს სხვადასხვა ხილი იმის გამოსავლენად, რამდენად შეუძლია არა მხოლოდ ადამიანის დანაყრება, არამედ, გაახალგაზრდავებაში დახმარებაც. ცნობილია, რომ ამ მხრივ, ყურადღება ატამს უნდა დავუთმოთ. ეს უგემრიელესი ხილი შეუცვლელია კულინარაიასა და კოსმეტოლოგიაშიც კი. მედიკოსები გვიმტკიცებენ, რომ სიბერეს ყველაზე უკეთ, სწორედ ატამი ებრძვის. თუ ამ ხილს სწორად გამოვიყენებთ კოსმეტოლოგიაში, კანის გაახალგაზრდავების მხრივ, უძლიერეს ეფექტს მივიღებთ. გარდა ამისა, ატამი შეუცვლელია პილინგის დროსაც, ძირითადი კომპონენტის რანგში. ხილი მეტად წვნიანი და საკმარისად ტკბილია, მისი ზეგავლენით, კანი დიდი ხნის განმავლობაში ინარჩუნებს სიგლუვესა და სინაზეს. ატმის რბილობი კი გაჯერებულია ნივთიერებათა კომპლექსით, რომელიც კანს კვებავს და მის ჰიდრობალანსს იცავს. ამის წყალობით, ნაოჭების გაჩენა მაქსიმალურად გვიანი ასაკისთვის გადადის. გარდა ამისა, ატამი ხელს უწყობს ორგანიზმში ნივთიერებათა ცვლას, იცავს გულის დაავადებებისგან, ეფექტურად ეხმარება ადამიანს დეპრესიული და სტრესული სიტუაციების გადალახვაში. ატმის რეგულარულად მირთმევისას, ტვინიც კი უკეთესად მუშაობს.

დამბლისგან კოცნა გვიცავს

ვნებიანი ამბორი დაავადებებისგან გვიცავს – აცხადებენ ბრიტანელი მეცნიერები, რომელთაც ამ მხრივ შესაბამისი კვლევა ჩაატარეს. დიდი ხანია, ადამიანის იმუნურმა სისტემამ ისწავლა ციტომეგალოვირუსთან გამკლავება, რომელიც ნერწყვში ხვდება. როგორც წესი, ის არავითარ პრობლემას არ იწვევს, თუმცა ეს ვირუსი, შესაძლოა, ძალიან საშიში იყოს ქალებისთვის ფეხმძიმობის პერიოდში, რადგან შეუძლია ნაყოფის სიკვდილი გამოიწვიოს ან თანდაყოლილი დეფექტების – სიყრუიდან, ცერებრალურ დამბლამდე – პროვოცირება მოახდინოს. გამუდმებული კოცნა, რასაც მამაკაცი ერთსა და იმავე ქალს ჩუქნის, ეფექტური აცრაა ნერწყვის გაცვლის მეშვეობით, ციტომეგალოვირუსის წინააღმდეგ – ამტკიცებენ ლიდსის უნივერსიტეტის სპეციალისტები. მათი თქმით, საუბარია ვირუსის სპეციფიკურ, „მამაკაცურ“ ვარიანტზე. ადრეული გამოკვლევებით, ჩამოყალიბდა მოსაზრება, რომ კოცნის რიტუალი ადამიანს განუვითარდა, როგორც ევოლუციური „ხარისხის კონტროლის“ ერთ-ერთი ფორმა, როცა ნერწყვის საშუალებით გადაეცემა „ინფორმაცია“ მემკვიდრეობითობის, ჯანმრთელობისა და გენების შესახებ.

ყველაზე ღრმა აუზს აშენებენ

ნისლიან ალბიონზე, მსოფლიოში ყველაზე ღრმა აუზი აშენდება. CNN-ის ცნობით, პროექტს „ლურჯი უფსკრული“ (Blue Abyss), ამავე სახელწოდების ადგილობრივი კომპანია განახორციელებს. მისი ღირებულება 211 მილიონი დოლარია. აუზის სიღრმე 50 მეტრი, სიგანე – 40, სიგრძე კი – 50 მეტრი იქნება. აუზი 42 მილიონ ლიტრს წყალს დაიტევს, რაც 17 ოლიმპიური აუზის მოცულობის ტოლია. ცნობილია, რომ ყველაზე ღრმა აუზში უახლეს წყალქვეშა ტექნოლოგიებს გატესტავენ, მათ შორის, რობოტექნიკასა და წყალქვეშა ნავებს, ასევე, გამოიყენებენ ასტრონავტებისა და მყვინთავების სავარჯიშოდ. აუზის სამშენებლო სამუშაოები ჯერ არ დაწყებულა, თუმცა ცნობილია, რომ „ლურჯი უფსკრული“ კორნუოლში აშენდება და 2023 წელს, ის უკვე მზად იქნება.

შინაგან საქმეთა მინისტრი, საქართველოში გაერთიანებული სამეფოს ელჩს შეხვდა

შინაგან საქმეთა მინისტრი, ვახტანგ გომელაური საქართველოში, დიდი ბრიტანეთისა და ჩრდილოეთ ირლანდიის გაერთიანებული სამეფოს საგანგებო და სრულუფლებიან ელჩს, მარკ კლეიტონს შეხვდა.

შეხვედრაზე მხარეებმა ხაზი გაუსვეს შავი ზღვის უსაფრთხოების უზრუნველყოფის თვალსაზრისით მიმდინარე წლის 26-30 ივნისს, ბათუმის პორტში, გაერთიანებული სამეფოს საზღვაო ძალების სამხედრო გამანადგურებელი გემის – HMS Defender ვიზიტის მნიშვნელობას.

მარკ კლეიტონის შეფასებით, საქართველოს ტერიტორიულ წყლებში აღნიშნული გემის ვიზიტი საქართველოსა და გაერთიანებული სამეფოს მაღალი დონის წარმომადგენლებს შორის სტრატეგიული დიალოგის დაწყების უნიკალური საშუალებაა.

ვახტანგ გომელაურმა და მარკ კლეიტონმა, ასევე, განიხილეს საზღვაო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიმართულებით საქართველოსა და გაერთიანებულ სამეფოს შორის არსებული მჭიდრო და ეფექტიანი თანამშრომლობა. ამასთან, მხარეებმა სანაპირო დაცვის მიმართულებით ურთიერთობის სამომავლო გეგმებზე ისაუბრეს.

შეხვედრის დასასრულს, შინაგან საქმეთა მინისტრმა გაერთიანებული სამეფოს ელჩს მადლობა გადაუხადა, სამინისტროს შესაძლებლობების განვითარებაში აქტიური მხარდაჭერისთვის.

შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემიას, ევროკავშირის ფინანსური მხარდაჭერით, თანამედროვე აღჭურვილობა – პასპორტის წამკითხველები გადაეცა

შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემიას, ევროკავშირის ფინანსური მხარდაჭერით, თანამედროვე სპეციალური აღჭურვილობა – პასპორტის წამკითხველები გადაეცა. აკადემიაში გამართულ ღონისძიებას შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემიის რექტორი, ივანე პაპიაშვილი, საქართველოში ევროკავშირის წარმომადგენლობის თანამშრომლობის განყოფილების უფროსის მოადგილე, კატალინ გერმანი და მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციის (IOM) საქართველოს მისიის ხელმძღვანელი, სანია ჩელებიჩ ლუკოვაცი დაესწრნენ.

სპეციალური აღჭურვილობის შეძენა მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციის (IOM) მიერ განხორციელებული პროექტის – „ევროკავშირი უსაფრთხოებისთვის, ანგარიშვალდებულებისა და დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლისთვის საქართველოში (SAFE) – ინტეგრირებული საზღვრის მართვა (SAFE IBM)“ – ფარგლებში განხორციელდა.

აღნიშნული აღჭურვილობის მეშვეობით, შინაგან საქმეთა სამინისტროს მესაზღვრე-კონტროლიორები სამგზავრო დოკუმენტების საფუძვლიანი შემოწმებისა და ნამდვილობის დადგენის საკითხებზე გადამზადდებიან.

პროექტი შინაგან საქმეთა სამინისტროს საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტთან მჭიდრო თანამშრომლობით, 2019 წლიდან ხორციელდება. მისი მიზანია საქართველოს მთავრობის შესაძლებლობების გაძლიერება საზღვრისა და მიგრაციის მართვის მიმართულებით, ევროკავშირსა და საქართველოს შორის გაფორმებული სავიზო რეჟიმის ლიბერალიზაციის სამოქმედო გეგმის შესაბამისად.

შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილე პარლამენტის ნდობის ჯგუფის სხდომას დაესწრო

შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილე, იოსებ ჭელიძე პარლამენტის ნდობის ჯგუფის სხდომას დაესწრო. შეხვედრას ასევე ესწრებოდა სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის საინფორმაციო-ანალიტიკური დეპარტამენტის დირექტორი, გიორგი საბედაშვილი.

პარლამენტის ნდობის ჯგუფის წევრებმა სხდომაზე საოკუპაციო ხაზის, უსაფრთხოების ზომებისა და შესაძლებლობების შესახებ იმსჯელეს და აღნიშნულ საკითხებთან დაკავშირებით, შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილეს, იოსებ ჭელიძეს და სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის საინფორმაციო-ანალიტიკური დეპარტამენტის დირექტორს, გიორგი საბედაშვილს მოუსმინეს.

შს მინისტრის მოადგილე, ალექსანდრე დარახველიძე ევროპის საბჭოს მხარდაჭერით ჩატარებული HELP-ის დისტანციური სწავლების დახურვას დაესწრო

შინაგან საქმეთა სამინისტროს, საქართველოს პროკურატურისა და სასამართლო სისტემის წარმომადგენლებმა, ევროპის საბჭოს მხარდაჭერით, სიძულვილით მოტივირებულ დანაშაულთან ბრძოლის თემაზე, HELP-ის დისტანციური სწავლების კურსი წარმატებით გაიარეს.

დისტანციური კურსის დახურვის ღონისძიებას შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილე, ალექსანდრე დარახველიძე, გენერალური პროკურორის მოადგილე, ნათია მერებაშვილი, იუსტიციის უმაღლესი სკოლის დირექტორი, ივანე ბოლქვაძე და ევროპის საბჭოს საქართველოს ოფისის უფროსის მოადგილე, ვაჰაგ მურადიანი დაესწრნენ. სტუმრებმა სიძულვილით მოტივირებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის აქტუალურ საკითხებზე ისაუბრეს და მონაწილეებს სერტიფიკატები გადასცეს.

აღნიშნული სასწავლო კურსი გამომძიებლებისთვის, პროკურორებისა და მოსამართლეებისთვის, საქართველოში 2019-2020 წლებში დაიწყო.

დისტანციური სასწავლო კურსის მიზანს წარმოადგენდა სიძულვილის მოტივით ჩადენილი დანაშაულის ეფექტიანი გამოძიების, სისხლისსამართლებრივი დევნისა და სასამართლო გადაწყვეტილების გამოტანის უნარ-ჩვევების გაუმჯობესება.

კურსი შედგებოდა სამი ეტაპისგან: სიძულვილით მოტივირებული დანაშაულის გამოძიება, სისხლისსამართლებრივი დევნა და სასამართლო გადაწყვეტილების გამოტანა. შესაბამისად, მასში მონაწილეობდნენ გამომძიებლები, პროკურორები და მოსამართლეები.

HELP-ის დისტანციური სწავლების კურსი – „სიძულვილით მოტივირებულ დანაშაულთან ბრძოლა: სიძულვილით მოტივირებული დანაშაულის ეფექტიანი გამოძიების, სისხლისსამართლებრივი დევნის და სასამართლო გადაწყვეტილების გამოტანის უნარ-ჩვევები“, ევროპის საბჭოს პროექტის – „დისკრიმინაციის, სიძულვილით მოტივირებული დანაშაულისა და სიძულვილის ენის წინააღმდეგ ბრძოლა საქართველოში“ – ფარგლებში შემუშავდა. აღნიშნული პროექტი საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსა და სხვა პარტნიორ უწყებებთან მჭიდრო თანამშრომლობით, ევროპის საბჭოს მხარდაჭერით განხორციელდა.

ვერსია

მისამართი: ქ.თბილისი, სანკტ-პეტერბურგის ქ. 7.

UDC(უაკ)070.48:32(479.22)3-387

დამფუძნებელი და მთავარი რედაქტორი
მაია ფურცელაძე (599) 62-88-77

დიზაინერი – გიორგი ლომსაძე

e-mail: versiaprinti@yahoo.com www.versia.ge

ტელ: +995 32 294 23 99

ISSN 1987-8699

დაცულია საავტორო უფლებები. რედაქციაში შემოსული მასალები უკან არ ბრუნდება. სტატიაში მოყვანილ ფაქტებსა და ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. პრეტენზიის შემთხვევაში დაგვიკავშირდით 14 დღის განმავლობაში.